ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ბორჯომის მერმა ლევან ლიპარტიამ მეწარმეს 10.500 ლარი მოსთხოვა, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოგიჩაიშვილმა კი — 200.000

გვ.5



28 თებერვლიდან

დიმიტრი შველიძე

ქართველთა ლაშქრობა სპარსეთსა და ხორასანში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ორშაბათი, 2 მარტი, 2020 №51 (8315) ფასი: 60 თეთრი

# გადაიდება თუ არა 4 აპრილის აქცია

გვ.3



ლევან ხაბეიშვილი: „ერთიანი კანდიდატებით „ოცნებას“ მაჟორიტარულ არჩევნებს მოვუგებთ“

## „ივანიშვილი ბერაიასა და ხუნდაძეს უნდა გაემიჯნოს და ახალი პარტია ჩამოაყალიბოს“

პრინციპული მიზანი არის პროპორციასთან მიახლოებული სისტემის მიღება. ეს ციფრებში დაახლოებით ასე გამოიყურება: 125 დეპუტატი აირჩევა პროპორციული წესით, 25 — მაჟორიტარული სისტემით.

გვ.3



**მურმან დუმბაძე: „მორიგ გადაგდებას ივანიშვილს არავინ აპატიებს“**



## ნინო დანელია: „მედიას ომს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ უგებს. ვიმედოვნებ, ვერც ივანიშვილი მოუგებს“

გვ.2



## ზვიად კუპრავა გია ვოლსკის დაკითხვას მოითხოვს

გვ.2

## პატრიარქის ხილვა



„ცხენზე მჯდომმა ადამიანმა გადამიფრინა ჰაერში, მერე ბავშვმა დანერწყვა მიწა, აზილა თითით და წაისვა შუბლზე“

გვ.2

## ცხინვალი კორონავირუსზე ტესტების უქონლობას უჩივის

რატომ არ აკრძალა სოხუმმა რუსეთის მოქალაქეების მიმოსვლა ფსოუზე?




გვ.4

ISSN 1987-9385

**3** შსს მაღალი რისკის ქვეყნებიდან შემოსულ მგზავრებს 24 საათი ამოწმებს

**5** ოზურგეთში 82 წლის კაცს 10 ნეკნი გაუტეხეს, 80 წლის ქალი სახეში დაჭრეს

**5** პოლიციამ უკრაინის მოქალაქე ნარკოდანაშაულისთვის დააკავა

**6** თურქეთში რუსული საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკის“ ჟურნალისტები დააკავეს

# ნინო დანელია: „მედიას ომს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ უგებს. ვიმედოვნებ, ვერც ივანიშვილი მოუგებს“

იაგო ნაცვლიშვილი



## „აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე პროცესები არჩევნებს უკავშირდება. „ოცნებას“ ლოიალური მედია სჭირდება“

„აჭარის მაუწყებელში სუს-ია“, – ასეთი სლოგანით გამართეს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებმა მდუმარე აქცია 28 თებერვალს მთავარი საინფორმაციო გამოშვების მიწურულს. ჟურნალისტებმა ამით გააპროტესტეს მაუწყებელში მიმდინარე პროცესები, კერძოდ კი საინფორმაციო სამსახურის უფროსის შორენა ღლონტის თანამდებობიდან გაშვება.

იქამდე გადადგა დირექტორის მოადგილე ნათია ზოიძე, რომელმაც თქვა, რომ ეს გადაწყვეტილება ნებაყოფლობითი პროცესი არ ყოფილა. ასევე გაუქმდა საინფორმაციო სამსახურის მოადგილის თანამდებობა და მაია მერკვილაძე დაკავებული თანამდებობიდან გაუშვეს. ყველაფერი კი საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით დაიწყო, რომლებმაც ყოფილი დირექტორი ნათია კაპანაძე გადააყენეს და მის ნაცვლად თანამდებობაზე აირჩიეს გიორგი კოხრეიძე მას შემდეგ, რაც არჩევნები მრავალჯერ ჩაიშალა.

რა პროცესები მიმდინარეობს აჭარის მაუწყებელში და ჩანს თუ არა ხელისუფლების კვალი? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე საუბრობს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მედიის მკვლევარი, ილიაუნის პროფესორი ნინო დანელია.

***– როგორ აფასებთ აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე პროცესებს და პირადად თქვენ ხედავთ თუ არა ამ პროცესების უკან ხელისუფლების ხელს?***

– აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე პროცესს ვაფასებ ორნაირად. ერთია მენეჯმენტის პოზიცია, რომელსაც ცალსახად უარყოფითად ვაფასებ და მეორეა თავად ჟურნალისტური გუნდის ქცევა, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს და არა მხოლოდ მედიით დაინტერესებულ ადამიანებში, არამედ ყველა იმ ადამიანში, რომლებსაც აინტერესებთ პროფესიული ღირსება, მიუკერძოებელი ახალი ამბები და ვისაც აინტერესებს სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია და ღირებულებები. ამიტომ ჩემი დამოკიდებულება არის ასეთი ორსახოვანი – მენეჯმენტის მიმართ უარყოფითი და ჟურნალისტური გუნდის მიმართ ცალსახად დადებითი. ვისარგებლებ შემთხვევით და სრულ სოლიდარობას ვუცხადებ ამ გუნდს.

რაც შეეხება იმას, ვხედავ თუ არა ხელისუფლების კვალს, რა თქმა უნდა, ვხედავ, იმიტომ, რომ ჩვენ პროცესს უნდა შევხედოთ მთლიანობაში, როგორ დაიწყო ეს პროცესი. პროცესი კი იმით დაიწყო, რომ „ქართული ოცნების“ კვოტით გასულმა საბჭოს წევრმა სრულიად უსამართლოდ, სამართლებრივადაც და პროფესიულადაც უსამართლო პროცესი დაიწყო ტელევიზიის მაშინდელი დირექტორის ნათია კაპანაძის მიმართ და მას მოუწყო იმპიჩმენტი. ცხადია, აქ უნდა დავაყენოთ საბჭოს იმ სამი წევრის პასუხისმგებლობაც, რომლებმაც მხარი დაუჭირეს „ოცნების“ კვოტით გასულ წევრს და ნათია კაპანაძე გადააყენეს. შემდეგ აუდიტის დასკვნა გაეგზავნა ტელევიზიას და გაირკვა, რომ დირექტორს არავითარი ფინანსური დარღვევა არ ჰქონია. მას ასევე ედავებოდნენ შინაარსობრივად პრიორიტეტების შესრულებას და ამ მხრივ არგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ საერთაშორისო და ადგილობრივი ანგარიშები. ამ კვლევებში აჭარის ტელევიზია არათუ დადებითად არის შეფასებული, არამედ – გამოკვეთილად პოზიტიურად დანარჩენ პოლარიზებულ მედიასაშუალებებთან შედარებით.

განსაკუთრებით არჩევნების თემატიკაზეა ეს ხაზგასმული, რომ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი არჩევნებს აშუქებდა არა მარტო მიუკერძოებლად, არამედ სიღრმისეულადაც და სრულ ინფორმაციას აწვდიდა მაყურებლებს.

ამასთანავე, უნდა გავიხსენოთ სასამართლოც. კაპანაძემ მიმართა სასამართლოს და სასამართლოს მიმართა ბატონმა კოხრეიძემაც, ორივემ თვისობრივად ერთისა და იმავე ამბის გამო და თქვეს, რომ უსამართლოდ მოექცნენ საბჭოს წევრები. სასამართლო, რომელიც ვიცით, რომ არის მიკერძოებული, სწორედ იმ პროცესების გამო, რომლებიც მიმდინარეობდა მოსამართლეების შერჩევის გამო და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორის გამო, ამიტომ აქაც მიკერძოებულად მოიქცა, კაპანაძის სარჩელი არ განიხილა და დღემდე თაროზეა შემოდებული, კოხრეიძის სარჩელი კი მაშინვე განიხილა და დააკმაყოფილა კიდეც.

***– ორმაგი სტანდარტია?***

– რა თქმა უნდა. ცალსახად ორმაგი სტანდარტია და ამ ორმაგ სტანდარტში არის მიკერძოება ხელისუფლების მიმართ.

კიდევ ერთი გარემოებაა, რომელიც ნამდვილად არ არის უმნიშვნელო. ეს არის ის, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ივანიშვილი ცდილობს და ეს არაერთხელ განაცხადა, რომ ყველა ტელევიზია ხელისუფლების მიმართ იყოს ლოიალური. მაგალითად, გაგახსენებთ ცნობილ წერილს, რომელშიც ლაპარაკი იყო, რომ „ტვ პირველი“ და „არტარეა“ „იმედის“ ტრენდზე უნდა დაჯდეს. გაგახსენებთ ივანიშვილის განცხადებებს, რომ მაშინდელი რუსთავი 2-ის დღის წესრიგს მიჰყვებოდა ყველა ტელევიზია. საუბარი მაქვს იმ პერიოდზე, სანამ ტელევიზიის მფლობელები შეიცვლებოდნენ. გაგახსენებთ, აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტს როგორ ეჩხუბა და საოცრად შეურაცხმყოფელი სიტყვები ეძახა იმის გამო, რომ ის ვერ აფასებს, რას ნიშნავს პროფესიული სტანდარტი მედიაში. ასევე, გაგახსენებთ იმასაც, რომ ყველა კრიტიკული ტელევიზიის მენეჯერი, მფლობელი ან დირექტორი ან ციხეშია, ან მის წინააღმდეგ მიმდინარეობს სასამართლო პროცესები.

ასევე უნდა აღინიშნოს ინკასოს თემაც. შერჩევითად მოხდა აქაც და ზოგიერთი ტელევიზიის მიმართ 50-მილიონიანი დავალიანების განრიგი შედგა, მაშინ როცა, მაგალითად, „ტვ პირველს“ ორი კვირის გადავადება არ დაუკმაყოფილა, ხოლო „კავკასიას“ ყადაღა დაადო. ეს ორმაგი სტანდარტები, რომ თუ ხელისუფლების მიმართ ხარ ლოიალური, შენთვის ყველაფერი შეიძლება, ხოლო თუ საზოგადოების მიმართ ხარ ლოიალური, რაც ნიშნავს კრიტიკულ კითხვებს ხელისუფლების მიმართ, მაშინ შენზე გამოიყენებენ ყველაფერს – სასამართლოს, ფინანსურ ზეწოლას, დაატერორებენ ჟურნალისტებს, შიგნიდან დაიწყებენ თვალთვალს. შეგახსენებთ, რომ აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტები ამბობდნენ, რომ მათ უთვალთვალებდნენ და მათ მესიჯებს კითხულობდნენ.

მთელ ამ პროცესში აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი არის კიდევ ერთი რგოლი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ სჭირდება მის მიმართ ლოიალური მედია და სჭირდება, რაც შეიძლება მის მიმართ კრიტიკული შინაარსის ინფორმაცია მივიდეს აუდიტორიამდე.

***– ანუ ეს ცალსახად არჩევნების საკითხს უკავშირდება?***

– კი ბატონო, იმიტომ, რომ როდესაც საარჩევნო წელია, მაშინ მედიის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა, ვინაიდან კარგად გვეს-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ცხენზე მჯდომმა ადამიანმა გადამიფრინა ჰაერში, მერე ბავშვმა დანერწყვა მიწა, აზილა თითით და წაისვა შუბლზე“

## პატრიარქის ხილვა



გუშინ, 1 მარტს, პატრიარქმა საკვირაო ქადაგების დროს კორონავირუსის საფრთხეზეც ისაუბრა. მან მრევლს ლოცვისკენ მოუწოდა.

როგორც ილია მეორემ აღნიშნა, ადამიანებს ამ მძიმე სენის არ უნდა შეეშინდეთ და არ უნდა დაიბნენ. პატრიარქმა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა.

– რა რთულია და ძნელია, გამონახოს ადამიანმა გზა, რომელიც მიიყვანს მას სასუფეველში. რა ძნელია, დაინახო თეთრი და შავი, ბოროტი და კეთილი, მაგრამ ეს ცხოვრება, მიწიერი ცხოვრება, მოგვეცა ჩვენ იმისათვის, რომ გამოვიყენოთ, სად შავია და სად თეთრია.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმ მოვლენებს, რაც დღეს ხდება. ის სენი, რომელიც წარმოიშვა მთელ მსოფლიოში, რომელსაც ეწოდება კორონავირუსი, საიდანაა? ღვთისაგანაა თუ ბოროტისგანაა, ერთი რამ უნდა ვთქვათ, რომ ღვთის გარეშე ეს არ მოხდებოდა და ღვთის ლოცვით, ღვთის ლოცვა-კურთხევით ჩვენ დავძლევთ ამ სენს.

მე მქონდა ხილვა. ცხენზე მჯდომმა ადამიანმა გადამიფრინა ჰაერში, ცეცხლისფერმა. მერე მოვიდა ჩემთან ბავშვი და მიჩვენა მე საშუალება, რომლითაც დავძლევთ ამ ბოროტებას. მან დანერწყვა მიწა, აზილა თითით და წაისვა შუბლზე. ეს იყო ნიშანი, რომ ღვთის ძალით და ჯვრის ძალით ადამიანი გაიმარჯვებდა ამ სენზე.

არ უნდა შეგვეშინდეს, არ უნდა დაიბნეს ადამიანი. საქართველოს ეკლესიის სახელით მადლობას ვწირავ მედიცინის მუშაკებს, რომ ასე ენერგიულად შეხვდნენ ამ სენს და გამონახეს გზები მისი გაძლებისათვის.

დღევანდელი დღე არის განსაკუთრებული დღე. შენდობის დღე. ლოცვაში წერია, არა არს კაცი რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს. ე.ი. არ არის ადამიანი, რომელიც მოვიდეს ამსოფლად და ცოდვა არ ჩაიდინოს. ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც მიიყვანს ადამიანს ღვთის სასუფევლამდე, – აღნიშნა პატრიარქმა ქადაგებისას.

# ჰუბერტ ქნირში: „შეთანხმებასთან ახლოს ვართ“



საქართველოში გერმანიის ელჩ ჰუბერტ ქნირშის განცხადებით, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევას მცირე ნაწილი აკლია.

ელჩმა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება მთაზე ასვლას შეადარა და იმედი გამოთქვა, რომ შედეგი რამდენიმე დღეში მიღწეული იქნება.

– უკვე სამი თვეა, ვმუშაობთ, რომ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით შეთანხმება მოხდეს. ჩვენ საკმაოდ ახლოს ვართ შეთანხმებასთან, ერთი პატარა ნაწილი აკლია ამ შეთანხმების მიღწევას.

დაახლოებით ისეთი სიტუაციაა, როდესაც მაღალ მთაზე ადის ჯგუფი და სამწუხარო იქნება, რომ როცა რამდენიმე მეტრია დარჩენილი, ჯგუფმა მთაზე ასვლა ველარ მოახერხოს.

ძალიან დიდი იმედი მაქვს, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რომ ამ რამდენიმე დღეში შედეგს მივაღწევთ და ყველა მონაწილე მხარე გავიხარებთ, როგორც დღევანდელი ოლიმპიადის გამარჯვებულები, – განაცხადა ელჩმა.

# საქართველოში იაპონიის ელჩი ტადაჰარუ უეჰარა აეროპორტში დოჰა-თბილისის რეისს დახვდა, რომლითაც იაპონიის მოქალაქეები ჩამოვიდნენ

საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ტადაჰარუ უეჰარა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დოჰა-თბილისის რეისს დახვდა, რომლითაც საქართველოში იაპონიის მოქალაქეები ჩამოვიდნენ.

იაპონიის ელჩი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საზღვრის მართვის კონტროლის მექანიზმებსაც გაეცნო. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის სამმართველოს უფროსმა ტადაჰარუ უეჰარას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მიმდინარე თერმოსკრინინგის პროცესი გააცნო და დეტალური ინფორმაცია მიაწოდა იმ კონკრეტული მექანიზმების შესახებ, რასაც საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების ალკვეთისა და დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით საპატრულო პოლიცია ახორციელებს.



# ზვიად კუპრავა გია ვოლსკის დაკითხვას მოითხოვს



ზვიად კუპრავა გია ვოლსკის დაკითხვას მოითხოვს.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა:

„2 მარტს ოფიციალურად მოვითხოვ საგამოძიებო ორგანოსგან, ჩემი საქმის ფარგლებში დაიკითხოს გია ვოლსკი. როგორც ჩანს, მას აქვს ინფორმაცია და იცის ჩემზე თავდამსხმელების სავარაუდო პირთა წრე.

რაც შეეხება გამოძიებას.

1. არსებობს როგორც შემთხვევის ადგილის მიმდებარე, ასევე დილმის მასივიდან სახლამდე ჩემი მოძრაობის მარშრუტის კამერების ჩანაწერები.

2. არსებობს ბოთლი (ბოთლის ყელი), საიდანაც შეიძლება ანაბეჭდების აღება.

3. არსებობს თავდამსხმელების სავარაუდო აღწერილობა. და

4. ტელეფონი, რომელიც თავდამსხმელებმა წაიღეს თავდასხმის შემდეგ.

მესამე დღე გადის და შედეგი 0.

მივდივარ საგამოძიებო ორგანოში. გავეცნობი საქმის მასალებს.

ყველა დეტალი იქნება საჯარო!“

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი ბერაიასა და ხუნდაძეს უნდა გაემიჯნოს და ახალი პარტია ჩამოაყალიბოს“

## მურმან დუმბაძე: „მორიგ გადაგდებას ივანიშვილს არავინ აპატიებს“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მურმან, ხელისუფლება აცხადებს, რომ არჩევნებში 40%-ზე ნაკლებს ვინც მიიღებს, ის მთავრობას ვერ დააკომპლექტებს. რამდენად მისაღებია?***

– „ქართულ ოცნებას“ ჰგონია, თუ 42%-ს მოიპოვებს, ის დააკომპლექტებს მთავრობას. ასე არ არის. 42%-ს „ოცნება“ თუ მიიღებს, 52%-ს სხვა მიიღებს და მაშინ ის დააკომპლექტებს მთავრობას.

პრინციპული მიზანი არის პროპორციასთან მიახლოებული სისტემის მიღება. ეს ციფრებში დაახლოებით ასე გამოიყურება: 125 დეპუტატი აირჩევა პროპორციული წესით, 25 მაჟორიტარული სისტემით. სხვა ნებისმიერი კონფიგურაცია იქნება იგივე, რაც დღეს გვაქვს.

***– დღეს უფრო ახლოს არის ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოზიციები?***

– ვნახოთ, ვნახოთ, თუმცა, მე არ გამიკვირდება, შეთანხმება იყოს მიღწეული და მერე ეს შეთანხმება კვლავ დაარღვიოს ხელისუფლებამ.

***– ამ შესაძლებლობას უშვებთ?***

– რა თქმა უნდა! რატომ უნდა გაგვიკვირდეს, არ მომხდარა თუ რა?! მთელი საერთაშორისო საზოგადოება გადააგდო „ოცნების“ პირველმა პირმა ქართველ ხალხთან ერთად. მე არ გამოვრიცხავ, რომ ისევ გვითხრან, დაჩი ბერაია ვერ ისვენებს და ისევ აგვიბუნტდაო! ერთი სიტყვით, არ გამოვრიცხავ, ბერაიამ და ხუნდაძემ ხელი ისევ არ ასწიონ.

***– ამ შემთხვევაში რა მოხდება?***

– ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი ბერაიასა და ხუნდაძეს უნდა გაემიჯნოს და ახალი პარტია ჩამოაყალიბოს.

***– ოპოზიციაში წავიდეს?***

– დიახ, დიახ! ეს იქნება მისი მხრიდან პრინციპის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არავის დაუჯერებს, როგორც ახლა არ სჯერა არავის ამ ამბოხის.

თუ ასე არ მოხდება, მაშინ ხელისუფლებაში მოვა ოპოზიცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ძალიან მკაცრად დაამარცხებს. მორიგ გადაგდებას მას არავინ აპატიებს, ამიტომ ამის იმედი არ უნდა ჰქონდეს. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ რაღაც ჰქონდეს ჩაფიქრებული ხელისუფლებას.

***– მაგალითად, რა?***

– საერთაშორისო პარტნიორების თვალის ასახვევად რაღაცაზე წამოვიდნენ, რომ დასავლეთმა თქვას, რომ მოლაპარაკებების შედეგი მიღწეულია, რომ ხელისუფლებამ დემოკრატიული პროცესი უზრუნველყო და ამასობაში დრო გაიყვანოს „ოცნებამ“ და ისევ უკან დაიხიოს, ისევ გადაგვაგდოს. თუმცა, ამის შედეგებს მერე უკვე თვითონ მოიმკის, ისე, რომ შეიძლება თავბედი იწყევლოს.

***– პოლიტპატიმრები თუ არ გაათავისუფლეს, მაინც დასთანხმდებით ახალ შემოთავაზებას?***

– არა, პოლიტპატიმრების გათავისუფლება წინაპირობაა შეთანხმების მიღწევის. ეს საკითხი არ იხსნება! ეს უნდა იცოდეს ხელისუფლებამ. ირაკლი ოქრუაშვილი ციხეშია, გიგი უგულავა ციხეშია, ნიკა მელიას 10 მარტს სასამართლო პროცესი აქვს.



***– რა მოლოდინი გაქვთ, ნიკა მელიას დააკავებენ?***

– რატომ უნდა გამოვრიცხო?! მაშინ, როდესაც სასამართლო პოლიტიკური დანამატია, რომელსაც ზედამხედველობას „ქართული ოცნება“ უწევს, ამაში დღეს არავის ეპარება ეჭვი.

რატომ დააკავეს ოქრუაშვილი, უგულავა ან გიორგი რურუა, იცის ვინმემ?! ოქრუაშვილი ქვეყანაში ჩამოვიდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა. ეს ხომ უნდა ნიშნავდეს რაღაცას?! ოქრუაშვილი დღეს ისევ ციხეშია.

***– ბატონო მურმან, თქვენ თუ იყრით კენჭს მაჟორიტარად?***

– ეს დამოკიდებულია გაერთიანებულ ოპოზიციაზე. ჩვენ ყველა ვემორჩილებით ოპოზიციის ერთიან პოზიციას.

***– როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება, კენჭისყრით?***

– დიახ, დიახ. ვადასტურებ, რომ მაჟორიტარი კანდიდატები იხილება გვარების დონეზე დედაქალაქის მასშტაბით, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილების მიღების დონეზე არ ვართ მისული. საუბრები არის, განხილვის სტადიაში ვართ, მაგრამ გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

# გადაიდება თუ არა 4 აპრილის აქცია

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**



## ლევან ხაბეიშვილი: „ერთიანი კანდიდატებით „ოცნებას“ მაჟორიტარულ არჩევნებს მოვუგებთ“

***– ლევან, რა გეგმები აქვს ოპოზიციას? კორონავირუსმა რამდენად შეცვალა თქვენი გეგმები, საპროტესტო აქციების გადადებას ან გაუქმებას ხომ არ აპირებთ?***

– ოპოზიციას ექნება საუბარი ამ საკითხებზე. ფაქტია რომ ეპიდემიის საფრთხე არსებობს, ამიტომ, ამ რეალობიდან გამომდინარე, უახლოეს დღეებში მიიღება გადაწყვეტილება.

***– არის შესაძლებელი, რომ გადაიდოს დაანონსებული აქცია?***

– ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. გააჩნია, რა რეალობა გვექნება. ვხედავთ, რომ ეს საფრთხე არის ჩვენს ქვეყანაში. ბაღები გადაიდო, სკოლებში სწავლა გადაიდო. ვნახოთ, რა რეალობა გვექნება და ვიმოქმედებთ იმის მიხედვით. ოპოზიცია ისეთ რამეს ნამდვილად არ გააკეთებს, რომ ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას.

***– ხელისუფლების ნაბიჯებზე რას იტყვით?***

– ხელისუფლებას უკვე არც უკანდასახევი გზა არა აქვს და არც – წინ წასასვლელი. ამ ხელისუფლებაზე უკვე მკაფიო და ჩამოყალიბებული აზრი აქვთ ჩვენს ევროპელ კოლეგებს და ფუნდამენტური შეხედულებები ასე მარტივად არ იცვლება. ყველასთვის ცხადია, რომ ამ ხელისუფლების ნდობა არ შეიძლება.

***– ანუ ხელისუფლების გადაწყვეტილებაში მაინც ეჭვი გეპარებათ?***

– არა მგონია, რომ ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება. მოლაპარაკებების სივრცე არ არსებობს ერთი მარტივი რამის გამო – ისინი არიან ვაჭრობაზე გადასული. აქედან კი არის შეთავაზება, რომ რაც შეჰპირდით ხალხს და რაც თქვით, პროპორციული არჩევნები უნდა იყოს პროპორციული არჩევნები ან პროპორციულთან მიახლოებული. პროპორციულთან მიახლოებული 100/50-ზე ვერ იქნება.

ასევე მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა არჩევნებთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკური პატიმრები უნდა იყვნენ გათავისუფლებული ციხეებიდან, იმავე ბესიკ თამლიანით დაწყებული, რურუათი, გიგი უგულავათი და ირაკლი ოქრუაშვილით გაგრძელებული. არ მინდა, ვინმეს გვარი გამომრჩეს. ძალიან ბევრი ადამიანია პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული. ჩვენი მოთხოვნაა პროპორციული არჩევნები, პლუს პოლიტპატიმრების გათავისუფლება.

***– დრო ძალიან ცოტაა, მარტის პირველი კვირაა მხოლოდ. ამის შემდეგ ცვლილებები, უბრალოდ, ვეღარ მოესწრება.***

– დიახ, ასეა. 11 მარტამდეა დრო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებამ რა ნაგავიც შეიზილა, იმ ნაგავს დაიტოვებს სახეზე. არა მგონია, რომ რაიმე გასუფთავებას ეცადოს. შესაბამისად, მაჟორიტარული ოლქებით ჩაატარებს არჩევნებს ბიძინა ივანიშვილი.

რა ფორმითაც არ უნდა ჩაატაროს ივანიშვილმა არჩევნები, თუ მასობრივად არ გააყალბა, ეს კაცი ყველა შემთხვევაში წააგებს არჩევნებს.

***– ლევან, საუბარია ერთიან მაჟორიტარ კანდიდატებზე. ვნებათაღელვაც მოჰყვა ამ საკითხს საზოგადოებაში. რას იტყვით უკვე გაჟღერებულ კანდიდატებზე, რამდენად თანხმდება შიგნით ოპოზიცია?***

– მაჟორიტარული ოლქების დარჩენის შემთხვევაში, ოპოზიციას ძირითად ოლქებში უნდა ჰყავდეს საერთო კანდიდატი. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იქნება. დათმობა მოუწევს ყველა ოპოზიციურ პარტიას, როგორც ნაციონალურ მოძრაობას, ისე „ევროპულ საქართველოს“, იმავე ლეიბორისტებს და ასე შემდეგ. როცა თანხმობაზე მივდივართ, ყველას რაღაცის დათმობა გვიწევს. პოლიტიკური სპექტრი უკვე შეთანხმდა, აქ პიროვნულ კინკლაობაზე აღარ არის საუბარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას ვკარგავთ.

თუ ვთანხმდებით, რომ ეს ხელისუფლება არის შესაცვლელი, მაშინ გარკვეულ კონსენსუსსა და დათმობებზე უნდა წავიდეთ. კონკრეტულ გვარებზე საუბარი ნაადრევია.

***– ხომ დასახელდა გვარები?***

– ამ გაჟღერებული გვარებიდან ვიღაცა დავადასტურო, ვიღაცა არ დავადასტურო, ტყუილი იქნება ამაზე საუბარი ჩემი მხრიდან, რადგან არაფერი გადაწყვეტილი არ არის, შესაბამისად, ნაადრევია ამაზე საუბარი, თუმცა,ს ყველა ოლქში თუ შევთანხმდებით, ეს იქნება საუკეთესო ვარიანტი.

ჩვენ, შეიძლება, ერთმანეთზე მზე და მთვარე არ ამოგვდიოდეს, მაგრამ, თუ ოპოზიცია იქნება ერთიანი, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ჩვენი ხალხისთვის. ჩვენთვის მთავარია, ივანიშვილი დავამარცხოთ, ამიტომ დათმობები იქნება ყველა მხრიდან. თუ საერთო კანდიდატები იქნება და ოპოზიცია ერთმანეთს არ დაუპირისპირდება, მაშინ ხელისუფლებას მოგების შანსი არ ექნება.

***– ამ ფონზე რამდენად გააქტიურდება ხელისუფლება და რამდენად შეეცდება, რომ არ შედგეს თქვენ შორის შეთანხმება?***

– რა თქმა უნდა, ხელისუფლება ყველაფერს ეცდება მოსყიდვებით, ფულით, შანტაჟით, დაშინებით. ამიტომ ახლა მნიშვნელოვანია, ოპოზიციურ მხარეს იყოს მტკიცე პოზიციები. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ნამდვილად არის მტკიცე და ის არ იქნება ის პარტია, რომელიც ვინმეს რამეს არ დაუთმობს. მთავარია, სრული თანხმობა იყოს ოპოზიციურ სპექტრში და ჩვენ მზად ვართ, წავიდეთ დიდ დათმობებზე.

ყველას მოვუწოდებ თავშეკავებისკენ, ერთმანეთისკენ კენჭები არ უნდა ვისროლოთ. დღეს ხალხის დაკვეთა არის ერთიანი ოპოზიცია.

***– ქვეყანაში მძიმე სიტუაცია შეიქმნა. რამდენად მომზადებულია ხელისუფლება ამ სიტუაციასთან გასამკლავებლად?***

– რისთვის არიან მზად? არც არაფრისთვის. გამოვიდნენ და გვეუბნებიან, მოუმზადებლები შევხვდით კორონავირუსსო. საერთოდ, 8 წლის განმავლობაში რაში მოემზადნენ ეს ადამიანები?! იმაში ხომ არ მოემზადნენ, რომ საკუთარი ვილები ეშენებინათ, აუზები მოეწყოთ, მიწები ეყიდათ და დაეკანონებინათ, ფული ეშოვათ და ქრთამი აეღოთ.

ერთი სიტუაცია მითხარით, რომელსაც მომზადებულები შეხვდნენ. ცეცხლი გაჩნდა, მოუმზადებლები იყვნენ. წყალდიდობა იყო და არც ამისთვის იყვნენ მზად. შეიძლება, ყველაფერს მოუმზადებელი შეხვდე?! არაფრისთვის ესენი მზად არ არიან. სამწუხაროდ, ამ ქვეყანას ხელისუფლება არ ჰყავს, გადაჰყვნენ კორუფციასა და ქრთამს.

***– გასული კვირის ბოლოს ბორჯომის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე დააკავეს.***

– ბორჯომის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დაინაწილეს ბორჯომ-ბაკურიანი, გადაუფორმეს მიწის ნაკვეთები ოჯახის წევრებს და ბიძაშვილ-მამიდაშვილებს. ამაზე არაერთი კონკრეტული ფაქტი თავადაც გავასაჯაროე.

ახლა მოუწიათ დაკავება იმ მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის, რომელთაც ოპოზიცია ორი წლის წინ აპროტესტებდა.

***– მაშინ რატომ დააკავეს მაინცდამაინც ახლა?***

– აქ კლანურ დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე. ჩვენთან ხომ სამართალი არ არის. კორუფცია ჭამს ყველაფერს. ის იმის კაცი იყო, ეს ამის კაცია, სუსი ვერ დალაგდა და ადგნენ და დაიჭირეს ქრთამზე, თორემ ქრთამისტები თქვენ დედაქალაქის მერიაში უნდა ნახოთ, რამდენია, თვითონ მერიდან დაწყებული და რიგითი წევრით დამთავრებული.

ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, როცა კონკრეტულ პირებს ქრთამის აღების ფაქტზე აკავებენ, თორემ თავიდან ბოლომდე, ყელამდე კორუფციაშია ქვეყანა!

ესენი ჩვეულებრივი მძარცველები არიან. სანამ ყაჩაღები არ მოშორდებიან ამ ქვეყანას, მანამდე არაფერი გვეშველება.

# შსს მაღალი რისკის ქვეყნებიდან შემოსულ მგზავრებს 24 საათი ამოწმებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრების მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველო, საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთისა და დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში უზრუნველყოფს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი რისკის ზონებად განსაზღვრული ქვეყნებიდან შემოსული მგზავრების შემოწმებასა და საქართველოში მათი განთავსების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრების მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი რისკის ზონებად განსაზღვრული ქვეყნებიდან შემოსული მგზავრების შემოწმებას 24 საათის განმავლობაში ახდენენ.

სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მესაზღვრეს აქვს წინასწარი ინფორმაცია ქვეყანაში შემომსვლელი მგზავრის გადაადგილების შესახებ, გარდა ამისა, მოგზაურობის ისტორიიდან გამომდინარე ადგილზეც ხდება მოქალაქის გადამოწმება და პირველადი რისკის განსაზღვრა.

რისკის მატარებელი მგზავრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება ადგილზე მყოფი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის და საგანგებო სამსახურის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც დამატებით, შესაბამის რეაგირებას ახდენენ.

ასევე აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში შემომსვლელი მგზავრი ბოლო ორი კვირის განმავლობაში არ იმყოფებოდა ოფიციალურად განსაზღვრულ რისკ ჯგუფის ქვეყანაში, მისი მონაცემების გადაცემა სხვა დანაყოფებისთვის არ ხდება.



# ცხინვალი კორონავირუსზე ტესტების უქონლობას უჩივის

## რატომ არ აკრძალა სოხუმმა რუსეთის მოქალაქეების მიმოსვლა ფსოუზე?

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს ოკუპირებულმა რეგიონებმა დაკეტეს დანარჩენ საქართველოში გადმოსასვლელი საკონტროლო-გამშვები პუნქტები.

ორივე რეგიონში მცხოვრები ქართველები ბევრჯერ დაზარალებულან ამ პუნქტების გადაკეტვის გამო. გადაკეტვის საბაბი სხვადასხვა იყო – დესტაბილიზაციის შიშითა და წნელისთან ქართული ბლოკსაგუშაგოს აღმართვით დაწყებული, სეზონური ინფექციებით დამთავრებული.

ამჯერად „სასაზღვრო“ კარანტინი კორონავირუსით ახსნეს. ცხინვალმა გადმოსასვლელები ამ შემთხვევაშიც სულ ჩაკეტა.

ორივე რეგიონის მოსახლეობას მიეცა რეკომენდაცია, არ გავიდნენ რეგიონიდან.

აფხაზეთში თავიდან გავრცელებული ინფორმაციით, „სასაზღვრო კარანტინი“ შეეხებოდა ენგურსაც და ფსოუსაც. იყო საუბარი გამონაკლისზე გალელებისთვის.

მოგვიანებით დაზუსტდა, რომ შეზღუდვები 7 აპრილამდე გალის მოსახლეობასაც შეეხება. ენგურზე ატარებენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც უშიშროების საბჭოსა და ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური საშვი აქვს.




გაირკვა ისიც, რომ რუსეთის მოქალაქეები ფსოუზე არ დაბრკოლდებიან.

– ჩვენ ვენდობით რუსეთს. ის აკონტროლებს სიტუაციას დაავადებების თვალსაზრისით. რუსეთში შემუშავებულია ზუსტი ტესტ-სისტემები, რის გამოც რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში შემოსვლა დაშვებულია, – აღნიშნა აფხაზეთის დე ფაქტო ჯანდაცვის მინისტრმა.

გალის ქართველი მოსახლეობა ახალ აკრძალვებს აღელვებით ხვდება. იქაურებს კორონავირუსზე მეტად ულუკმაპუროდ დარჩენის ეშინიათ.

გალელების ნაწილი ამბობს, რომ კარანტინის დასრულებამდე ეგნურგამოღმა გადმოსვლა მოუწევს, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული მისი შემოსავალი.

სოხუმში აცხადებენ, რომ ენგურსა და ფსოუზე სამედიცინო პუნქტებს აძლიერებენ, სპეცტექნიკისთვის კი საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართეს.

აფხაზეთის საზოგადოებაში პანიკა არ შეინიშნება. ხალხმრავლობა არ დაფიქსირებულა აფთიაქებსა და სასურსათო მაღაზიებში. ზოგიერთი ამბობს, რომ კორონავირუსი განსაკუთრებული დაავადება არაა, ზოგიერთს რუსეთის ჯანდაცვის სისტემა აიმედებს, ზოგი კი იმაზე აპელირებს, რომ აფხაზეთში ამჟამად არ ხდება ხალხმრავალი თავყრილობები და ვირუსის გავრცელების შესაძლებლობა მინიმალურია.

ცხინვალის რეგიონში კი ჩივიან, რომ არ გააჩნიათ კორონავირუსის გამოსავლენი ტესტსისტემები.

ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოები ხალხს მოუწოდებენ, ხელები და მობილური ტელეფონები დაამუშაონ სადეზინფექციო ხსნარებით, ასევე მოახდინონ ავეჯის დეზინფექცია.

დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი, რომელიც საქართველოს „მეზობელ სახელმწიფოს უწოდებს“, უშიშროების საბჭოს რაზმავს.

– ამ დაავადების გაჩენა მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იწვევს სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის შეშფოთებას. ჩვენ ვიღებთ გამაფრთხილებელ ზომებს, – აღნიშნა უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე ბიბილოვმა.

ცოტა ხნის წინ ცხინვალის რეგიონში სურსათისა და მედიკამენტების დეფიციტი შეიქმნა. ამის მიზეზი გახდა საქონლით დატვირთული მანქანების გაჩერება და ახალი საბაჟო წესები რუსეთთან ურთიერთობაში.

ამავე პერიოდს დაემთხვა რეგიონის აფთიაქებიდან პირველადი საჭიროების ქართულწარწერიანი მედიკამენტების ამოღება.

დიდი ალბათობით, ცხინვალსა და მის მთელ მოსახლეობას ამის გამო პრობლემები დაემატა.

# აფხაზეთში ქართულად სიმღერაც აკრძალულია

## ჯემალ გამახარია: „ოკუპირებულ ტერიტორიაზე საშინელება ხდება, გენოციდი მიმდინარეობს“



**აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის გამო ევროსტრუქტურების რეზოლუციების გამკაცრებას ითხოვს. ეს საკითხი მათ ევროპაში ვიზიტის დროს დააყენეს. გარდა ამისა, უმაღლესი საბჭოს იურისტთა ჯგუფი საერთაშორისო სასამართლოებში გასაგზავნ სარჩელებს ამზადებს. „ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ჯემალ, თქვენ ვიზიტით ევროპაში იმყოფებოდით. რას უკავშირდებოდა აღნიშნული ვიზიტი, რა საკითხები განიხილებოდა?***

– თებერვლის მეორე ნახევარში ვიმყოფებოდით ევროპის რამდენიმე ქალაქში. ჩვენი ვიზიტი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი იყო დიასპორებთან შეხვედრები.

***– რომელ დიასპორებს შეხვდით, ქართულს თუ სხვებსაც? აფხაზურ დიასპორასაც ხომ არ შეხვდით?***

– არა, ქართველებს შევხვდით, მათ შორის, დევნილებს აფხაზეთიდან. ორგანიზაციის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ მიწვევით ამ ვიზიტის ფარგლებში ვიმყოფებოდით ამსტერდამში, ჰააგაში, ბრიუსელში. ძალიან სერიოზული შეხვედრები გვქონდა.

***– ამ შეხვედრების ამოცანა რა იყო?***

– პირადად ჩემი ამოცანა იყო დიასპორებთან კავშირის გამყარება. ჩვენ გვაქვს პროექტი, რომლის ფარგლებში ელექტრონულად კავშირს ვამყარებთ დევნილ მოსახლეობასთან. არა აქვს მნიშვნელობა, ის საქართველოში იმყოფება თუ სადღაც ემიგრაციაშია. დიასპორების წარმომადგენლებთან მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენი ასეთი კავშირი, ურთიერთობა და ერთობლივი მუშაობა გაგრძელდება.

***– ევროსტრუქტურის წარმომადგენლებს თუ შეხვდით?***

– ჩვენ გვინდა ევროპარლამენტის დეპუტატებთან და ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობა. დანიაში ჩვენი ელჩი ერთდროულად გახლავთ ჩვენი მისიის ხელმძღვანელი ევროკავშირში. ბრიუსელში ჩვენს საელჩოში გაიმართა მიღება. იქ არის ძალიან კარგი ელჩი, ნატალი საბანაძე. მას მოწვეული ჰყავდა ევროპარლამენტის წევრები და ადგილობრივი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. მოგვეცა საშუალება, მათთვის სიტყვით მიგვემართა, რომ რეზოლუციები და განცხადებები, რომლებსაც ისინი იღებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, კარგია, მაგრამ რეალურად არ ასახავს იმ ვითარებას, რომელიც არსებობს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

***– რას გულისხმობთ?***

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცილებით უარესი მდგომარეობაა, ვიდრე რეზოლუციებშია ასახული. ჩვენ მათ ვთხოვეთ, გაამკაცრონ განცხადებები. ჩვენს წარმომადგენლობას ევროკავშირში ვაწვდით ახალ-ახალ ინფორმაციას რეალურად არსებული მდგომარეობის შესახებ, რათა გამკაცრდეს რეზოლუციები.

მარტში შედგება ევროკავშირის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომა, სადაც განიხილება ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი. ნატალი საბანაძეს ვაწვდით ისეთ ინფორმაციას, რომელიც არასდროს ასახულა ევროსტრუქტურების რეზოლუციებში.

***– კონკრეტულად რა მასალებზე საუბრობთ?***

– ვსაუბრობ ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ მასალებზე. მარტის სხდომაზე მკაცრი განცხადება გაკეთდება. ჩვენ სპეციალურად ჩავედით სტრასბურში. მოგეხსენებათ, ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა არის საქართველო. ჩვენს წარმომადგენელ ირაკლი გივიაშვილს მივაწოდეთ ინფორმაცია და კონკრეტული წინადადებები, რა უნდა ჩაიწეროს დამატებით მომავალ რეზოლუციებში, რომელიც მაისის დასაწყისში გამოქვეყნდება. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

***– რა თვალსაზრისით?***

– აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის არანაირი უფლება, რაც კი არსებობს საერთაშორისო სამართლით, ევროპული კონვენციით, გაეროს საყოველთაო დეკლარაციით – ყველაფერი ირღვევა. აფხაზეთში საშინელება ხდება, გენოციდი მიმდინარეობს. მხოლოდ ლაპარაკი იმაზე, რომ მშობლიურ ენაზე საუბრის, გადაადგილების უფლება ირღვევა, საკმარისი არ არის.

აფხაზეთში ყველანაირი უფლება ირღვევა, რომლებიც ადამიანს გააჩნია. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართველები საერთოდ კანონგარეშე არიან გამოცხადებული. ოკუპირებულ ტერიტორიებზე უფრო დიდი უბედურება ხდება, ვიდრე რეზოლუციებშია ასახული.

***– როგორც ვიცი, უმაღლესი საბჭო რუსეთის წინააღმდეგ ჰააგასა და სტრასბურში გასაგზავნ სარჩელებს ამზადებს. სარჩელი კონკრეტულად რომელ პერიოდს მოიცავს?***

– ჩვენ გვყავს ძლიერი იურისტთა ჯგუფი, რომელმაც სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს იმ ვითარებას, რომელიც არსებობს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. რამდენიმე მიმართულებაა გამოკვეთილი. პირველ რიგში, ვაპირებთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების დარღვევის გასაჩივრებას.

***– შეზღუდვა ხდება თუ აკრძალვა?***

– მშობლიურ ენაზე სწავლება კი არ იზღუდება, არამედ იკრძალება. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე არათუ სწავლება, არამედ ლაპარაკიც კი აკრძალულია, სიმღერაა აკრძალული. ევროპარლამენტის წევრებს ვკითხე, მსოფლიოში მსგავსი შემთხვევა თუ არის, როცა ადამიანებს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და სიმღერა ეკრძალებათ-მეთქი. რა თქმა უნდა, მსგავსი რამ არსადაა. შეგვიძლია, გავაგრძელოთ ჩამონათვალი იმისა, რა საშინელებებიც ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ქართულად ლაპარაკისთვის, სიმღერისთვის პირდაპირ სჯიან. ასეთი რამე ისტორიამ არ იცის. ჩვენი პირველი სარჩელი ამ საკითხზე იქნება.

შემდეგი სარჩელი შეეხება საკუთრების უფლებას. საკუთრების უფლების დარღვევა ურთულესი საკითხია. აფხაზეთში არსებულ ვითარებას მთლიანობაში თუ განვიხილავთ, იურისტების აზრით, რაც იქ ხდება, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, ანუ ჰააგის მიერ არის განსასჯელი.

მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვა და საკუთრების უფლების ჩამორთმევა ევროსასამართლოს განსასჯელია. ეს სარჩელები შევა საერთაშორისო სასამართლოებში, მაგრამ ჯერ მომზადება უნდა დასრულდეს და გარკვეული პროცედურები უნდა გაიაროს საქართველოში. სამწუხაროდ, ბევრი დრო დავკარგეთ, მაგრამ მუშაობა დაწყებულია და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

***– გენოციდთან და ეთნოწმენდასთან დაკავშირებით რუსეთს არ უჩივით?***

– სამწუხაროდ, ეს ვერ გაკეთდა 90-იან წლებში. დრო გავიდა, მაგრამ, როდესაც შეფასდება აფხაზეთში დღეს არსებული მდგომარეობა, იქ აუცილებლად მივუთითებთ, რა უძღოდა წინ დღეს არსებულ ვითარებას და აუცილებლად შევეხებით გენოციდს, ეთნოწმენდასა და ყველა იმ დანაშაულს, რომლებიც აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩაიდინეს.

# ნინო დანელია: „მედიას ომს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ უგებს. ვიმედოვნებ, ვერც ივანიშვილი მოუგებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მის, რომ ყველა საარჩევნო წელს თავისუფალი მედია ხელისუფლების მიმართ კრიტიკულია ხოლმე, განსაკუთრებით ამ არჩევნებში, როდესაც ყველა კვლევა აჩვენებს, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს ვერ იგებს საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით. ამიტომ, ბუნებრივია ხვდება, ძალიან კრიტიკული არჩევნებია და უნდა, ნებისმიერი ფორმით ეს არჩევნები მოიგოს.

***– რუსთავი 2-თან ბრძოლისას ხელისუფლებისგან გვესმოდა, რომ ის არის ოპოზიციური არხი, ნაციონალურ მოძრაობაზე მუშაობს და ა.შ. აჭარის მაუწყებელი ამ სტანდარტში ვერ ჯდება, თუნდაც იმ კვლევებით, რომლებიც არგუმენტად მოიყვანეთ. ხელისუფლება ხომ არ ცდილობს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პოლარიზებასთან ერთად მედიის პოლარიზებაც მოახდინოს?***

– ძალიან კარგი კითხვაა. აქ ძალიან მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რას ნიშნავს საზოგადოებრივი მაუწყებლის მნიშვნელობა მართლაც პოლარიზებულ მედიაგარემოში. ახლა ცოტა უფრო ნაკლებია ეს პოლარიზაცია, იმიტომ, რომ სატელევიზიო სივრცეში გაჩნდა „ტვ პირველი“ და „ფორმულა“. „კავკასია“ ისედაც ნეიტრალურობით გამოირჩეოდა, დანარჩენი მედიები კი, ასე თუ ისე, პოლიტიკურ დღის წესრიგს მისდევენ. აქ საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს კიდევ უფრო მეტი ფუნქცია, რომ ის იყოს სრულიად მიუკერძოებელი არბიტრი, ინფორმაციის გამშუქებელი და არავითარ შემთხვევაში არ მისდიოს რეიტინგებს. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი დაკვეთა ხშირ შემთხვევაში სწორედ პოლიტიკური მიკერძოებაა ხოლმე, რადგან მას პოლიტიკური ფილტრით დანახული ამბები აინტერესებს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებისთვის ადვილია, დააბრალოს ჟურნალისტს პირდაპირ პოლიტიკურ პლატფორმაზე ყოფნა და არა მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელება, იმიტომ, რომ მაშინ ადვილია საზოგადოების თვალში ჟურნალისტის დისკრიმინაცია.

რასაკვირველია, ამით კნინდება ის ინფორმაცია, რომელზეც ჟურნალისტი მუშაობს და აწვდის საზოგადოებას. ამას ცდილობს ხელისუფლება და, რასაკვირველია, ამ კონტექსტში შეგვიძლია, აჭარის მაუწყებელზე ვილაპარაკოთ.

აქვე ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ რა კონტექსტშიც არ უნდა მუშაობდეს ჟურნალისტი, თუნდაც ეს იყოს პოლიტიკურად მიკერძოებული არხი, ეს ამბავი ხელისუფლების საქმე არ არის. ეს არის მხოლოდ მაყურებლის საქმე. თუ მაყურებელს არ მოსწონს მიკერძოებული ნიუსები, ის აუცილებლად შეიცვლის არხს. ხელისუფლების ნებისმიერი ტიპის კომენტარი ამ მიმართულებით, რასაკვირველია, სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევად უნდა განვიხილოთ, რაც დაუშვებელია. კომუნიკაციების კომისია ცდილობს ახლა ამ ფუნქციის შეთავსებას და ცდილობს, რომ სარედაქციო საქმეები გააკონტროლოს, რაც ასევე ცალსახად დაუშვებელია და ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდება მისაღები.

***– ბოლოს გვითხარით, რა მოლოდინი გაქვთ თქვენ? გამოუვა ხელისუფლებას აჭარის მაუწყებლის წაღებაც?***

– ოპტიმისტურად დავასრულებ ინტერვიუს. ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი მაგალითი, ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდიდან დაწყებული, გაგრძელებული სააკაშვილის ხელისუფლებით და ახლა უკვე ივანიშვილის ხელისუფლების სახით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ უგებს ომს მედიას, ჟურნალისტებსა და თავისუფალ მოქალაქეებს. ამიტომ, დიდი იმედი მაქვს, ეს პროცესი დასრულდება მოქალაქეების სასარგებლოდ და ვერც ივანიშვილი დაამარცხებს ამ ომში მოქალაქეებს. შევძლებთ თუ არა აჭარის ტელევიზიის შენარჩუნებას, ნამდვილად ვერ გაგცემთ ცალსახა პასუხს, თუმცა ის, რომ ჟურნალისტებმა აჩვენეს ასეთი უპრეცედენტო ერთობა და სოლიდარობა... ასეთი რამე პირველად ხდება, რომ ჟურნალისტები პროტესტის ნიშნად კი არ ტოვებენ არხს, ან კი არ იბრძვიან მენეჯერთან ერთად გარეშე პირების წინააღმდეგ, არამედ ჟურნალისტური გუნდი დაუპირისპირდა დირექტორს, რომელიც მათ ძალით დაუსვეს დირექტორად. ასეთი შემთხვევა ჩვენ არ გვქონია.

მით უმეტეს, საზოგადოებრივ მაუწყებელში რომ ხდება ეს, ათჯერ უფრო დასაფასებელია, რადგანაც ვიცით, რა ემართებოდათ საზოგადოებრივ მაუწყებლებს. ამიტომ, მე მგონია, რომ ჩვენ ვართ მაგალითი, როგორ უნდა დავიცვათ თავი. თუკი ხელისუფლება წაართმევს საზოგადოებას აჭარის ტელევიზიას, ეს იქნება ხელისუფლებისთვის ძალიან დიდი დარტყმა. რა თქმა უნდა, დაგროვდება უარყოფითი ამბები ხელისუფლების აქტივში და ამ უარყოფითი ამბებით მოუწევს მას არჩევნებზე გასვლა.

# ბორჯომის მერმა ლევან ლიპარტიამ მეწარმეს 10.500 ლარი მოსთხოვა, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოგიჩაიშვილმა კი — 200.000

## მათ წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

29 თებერვალს ბორჯომის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის დაკავების შესახებ სუსმა ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

მასში ნათქვამია:

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოგიჩაიშვილი და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ლიპარტია, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მოქალაქე გიორგი ულუმბელაშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ განაშენიანების რეგულირების გეგმის საკრებულოს სხდომაზე გატანისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის სანაცვლოდ, მეწარმეს ქრთამის სახით მოსთხოვა 200.000 ლარი, საიდანაც წინასწარ გამოართვა 20.000 ლარი.

აღნიშნული პირი თანხის გადაცემისთანავე დააკავეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა დაბა ბაკურიანში უკანონო მშენებლობების მფარველობის სანაცვლოდ, ამავე მეწარმეს 10.500 ლარი მოსთხოვა, საიდანაც ეტაპობრივად 8.000 ლარი გამოართვა.

აღნიშნული დანაშაულის თაობაზე ცნობილი იყო ბორჯომის მერის მეგობრისთვის – მოქალაქე გიორგი ულუმბელაშვილისთვის, რომელმაც ამის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა.

გამოძიება დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და 376-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს“.

* * *



გუშინ, 1 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულებისთვის აღკვეთის ღონისძიებაზე იმსჯელა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერ ლევან ლიპარტიასა და გიორგი ულუმბელაშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდების მხარე, პროცესზე პირადი და სამსახურებრივი კავშირების გათვალისწინებით, მოწმეებზე ზემოქმედების რისკზე მიუთითებდა და ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის მოითხოვდა.

ლევან ლიპარტიას შემთხვევაში დაცვის მხარემ სასამართლო პროცესზე აღკვეთის ღონისძიების სახით 20.000 ლარის ოდენობით გირაოს შუამდგომლობა დააყენა.

როგორც სხდომაზე ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა განაცხადა, არ არსებობს მტკიცებულება, ნიკოლოზ მეტრეველის ჩვენების გარდა, რომ ლევან ლიპარტიამ თანხა აიღო.

მისთვის ასევე, გაუგებარია, რატომ მოხდა ბრალის წაყენება ამდენი თვის შემდეგ.

– ლევან ლიპარტიას ვედავებით, 2019 წლის 9 აგვისტოს რომ ქრთამი აიღო. კი მაგრამ, სად იყავით აქამდე? – იკითხა გაგი მოსიაშვილმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ იცნობს ვიდეომტკიცებულებასაც და იქ არ ჩანს, რა გადასცეს ლიპარტიას, ფული თუ ნუგა კანფეტები.

– ფული გადასცა პიროვნებამ, პატარა ტკბილეული თუ რამე სხვა საგანი, არ არის დადასტურებული, ჩვენ უნდა ვერწმუნოთ ვინმე მეტრეველს, რომელიც რამდენად მიუკერძოებელია, სახელმწიფო ბრალდებას ერთი მტკიცებულებაც არ აქვს მოპოვებული, იქნებ პირადი ინტერესი ან შურისძიება ამოძრავებს? – აღნიშნა გაგი მოსიაშვილმა.

გიორგი ულუმბელაშვილის ადვოკატმა კი 5.000 ლარის ოდენობით გირაოს შუამდგომლობა დააყენა. დაცვის მხარის პოზიციით, სანამ ლევან ლიპარტიას ბრალი დაუდასტურებელია, ულუმბელაშვილისთვის პატიმრობის შეფარდება უსაფუძვლო იქნებოდა.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ლევან ლიპარტიაც, რომელმაც აღნიშნა, რომ მზად არის, შეზღუდვებს დაემორჩილოს.

– ორსული მეუღლე მყავს. მზად ვარ ყველანაირი შეზღუდვისთვის. ვიჯდები სახლში, ვითანამშრომლებ გამოძიებასთან, ბორჯომში არ ჩავალ. ისე ვიცხოვრე 39 წელი, არაფერი დამიშავებია, – განაცხადა ბორჯომის მერმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ მოდულის შენობაში მას ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ადამიანმა უთხრა, „შენი დაკავება ნაღდად არ მინდოდა, ის გარეთ არ უნდა იყოს და შენ აქო“.

სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოგიჩაიშვილსაც.

როგორც სხდომაზე საქმის პროკურორმა ბექა ეჟიშვილმა განაცხადა, საქმეში არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ ბრალდებულმა აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა.

მისივე თქმით, საქმეში წარმოდგენილია აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, სადაც ჩანს, თუ რაში ითხოვს ბრალდებული თანხას. ასევე საქმეში არსებობს პირდაპირი მოწმის ჩვენებაც.

პროკურორი აცხადებს, რომ გასათვალისწინებელია როგორც მიმალვის, ასევე მოწმეებზე ზემოქმედების რისკი.

ადვოკატის თქმით კი, გიორგი გოგიჩაიშვილი გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებს, ამიტომ სასამართლომ ის აღკვეთის ღონისძიების გარეშე უნდა დატოვოს, თუმცა, თუ სასამართლო მაინც მიიჩნევს, რომ აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული, დაცვის მხარე გირაოს სახით 20.000 ლარის გადახდას მიიჩნევს მიზანშეწონილად.

სასამართლოზე სიტყვა წამოთქვა ბრალდებულმაც, რომელმაც პატიმრობის ალტერნატივად ელექტრონული სამაჯურის ტარება ითხოვა.

– არსებობს სამაჯურიც და შეგვიძლია, თბილისიდან გაუსვლელობაც კი გამოვიყენოთ. რაც შეეხება იმას, მე მოვახდენ ვინმეზე ზეწოლას – მე მარტო ვმოქმედებდი, ყველაფერი გამოძიებულია და როგორ შეიძლება მოვახდინო ზეწოლა. ეს ყველაფერი ხდება ბორჯომში. მე თბილისში ვცხოვრობ მეუღლესთან და 6 შვილთან ერთად, – განაცხადა გიორგი გოგიჩაიშვილმა.

მისივე თქმით, ნიკოლოზ მეტრეველისგან თანხას ხშირად სესხულობდა და მისგან დაკავებისას სწორედ ნასესხები თანხა ამოიღეს.

საბოლოოდ, საქმის მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა.

## ოზურგეთში 82 წლის კაცს 10 ნეკნი გაუტეხეს, 80 წლის ქალი სახეში დაჭრეს




გუშინ, 1 მარტს, გამთენიისას, ყაჩაღობა მოხდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღობილევში.

82 წლის მამაკაცი და 80 წლის ქალი ყაჩაღებმა აწამეს და სახლიდან 2.500 ლარი წაიღეს.

ორივე მათგანი ოზურგეთის კლინიკა მედალფაშია მოთავსებული. კლინიკის ინფორმაციით, მამაკაცს 10 ნეკნი აქვს გატეხილი. ის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

ქალს ჭრილობა სახის არეში აქვს მიყენებული.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით არის დაწყებული.

## არჩილ ცეცხლაძეს ქობულეთში მკვლელობისთვის პატიმრობა შეეფარდა



ქობულეთში მომხდარ მკვლელობაზე დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გამოძიება არჩილ ცეცხლაძეს განზრახ მკვლელობას ედავება.

შემთხვევა სამი დღის წინ ქობულეთში, ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მოხდა. ბრალდებულის ადვოკატი მუხლის გადაკვალიფიცირებასა და გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

მისი თქმით, მოკლული ნაჯახით თავს დაესხა ბრალდებულის სიძეს, არჩილ ცეცხლაძემ კი გასროლა თავდაცვის მიზნით განახორციელა.

## ტრაგედიით დასრულებული თევზაობა

### მდინარე იორში 2 მამაკაცის ცხედარი იპოვეს



საძიებო-სამაშველო ოპერაციის შედეგად მდინარე იორში ნაპოვნია 2 მამაკაცის ცხედარი, რომლებიც მდინარეზე სათევზაოდ იყვნენ წასული.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრ 112-ში შევიდა ინფორმაცია დედოფლისწყაროში, დალის მთის წყალსაცავის მიმდებარედ გაუჩინარებული 2 მოქალაქის შესახებ.

„ინიციატორის განცხადებით, მოქალაქეები მდინარე იორზე სათევზაოდ იყვნენ წასულები, როდესაც მდინარეში ჩავარდნენ. ადგილზე მყოფმა სხვა მეთევზეებმა მდინარეში გადავარდნილი მოქალაქეების ადგილსამყოფელს ვეღარ მიაგნეს და დასახმარებლად სამაშველო სამსახური გამოიძახეს.

ინფორმაციის მიღებისთანავე, შეტყობინებაზე რეაგირება მოახდინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა. შემთხვევის ადგილზე ადგილობრივი სახანძრო-სამაშველო ჯგუფების გარდა, ასევე, გავიდნენ განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს წყალზე რეაგირების და მყვინთავთა ჯგუფები. საძიებო-სამაშველო ოპერაციის შედეგად მდინარე იორში ნაპოვნია ორი მამაკაცის ცხედარი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## პოლიციამ უკრაინის მოქალაქე ნარკოდანაშაულისთვის დააკავა

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარ სამმართველოსთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკრაინის მოქალაქე, 1981 წელს დაბადებული ვ.შ. თბილისში ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.



სამართალდამცველებმა დაკავებულისგან ორ შეკვრად დაფასოებული, „მეტადონის“ შემცველი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

## ნინოშვილზე ჯიპი გლოვის სკუტერს დაეჯახა



გუშინ, 1 მარტს, თბილისში, ნინოშვილისა და კონსტიტუციის ქუჩების კვეთაზე, ერთმანეთს გლოვის სკუტერი და ბმვ-ს ჯიპი დაეჯახნენ.

სკუტერის მძღოლი მძიმედ დაშავდა.

იგი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

## ფოთში ჰონდა სატვირთოს დაეჯახა

### 1 მამაკაცი დაიღუპა



გუშინ, 1 მარტს, ფოთში, კოკაიას ხეივანში, ავტოსაგზაო შემთხვევას 30 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა.

ერთმანეთს სატვირთო და ჰონდას მარკის ავტომობილები შეეჯახნენ.

შემთხვევის შედეგად მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი ადგილზე დაიღუპა.

– ადგილზე დროულად მივედით, თუმცა ახალგაზრდა მამაკაცი დაღუპული დაგვხვდა, – განაცხადა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მორიგე ექიმმა ლალი დამენიამ. შემთხვევის ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია. შსს-მ გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## თურქეთმა სირიაში ოპერაცია „გაზაფხულის ფარი“ დაიწყო



გუშინ, 1 მარტს, თურქეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ხულუსი აქარმა სირიის ჩრდილო-დასავლეთში სამხედრო ოპერაცია „გაზაფხულის ფარის“ დაწყების შესახებ განაცხადა.

მინისტრის თქმით, ოპერაცია დაიწყეს იმ ავიადარტყმის საპასუხოდ, რომელიც 27 თებერვალს თურქი სამხედროების პოზიციებზე განხორციელდა და რომელმაც 36 თურქი სამხედროს სიცოცხლე იმსხვერპლა.

— თურქეთს არ გააჩნია რუსეთთან და სირიასთან დაპირისპირების მიზანი. ჩვენი ამოცანაა ბაშარ ასადის რეჟიმის დანაშაულთა შეჩერება, რადიკალიზაციის აღმოფხვრა და მიგრაციის თავიდან აცილება. თურქეთის შეიარაღებული ძალები ეფუძნება თავდაცვის უფლებას. ჩვენი სამიზნეები არიან მხოლოდ ასადის მომხრეები, რომლებიც თავს ესხმიან თურქ სამხედროებს, — განაცხადა ხულუს აქარმა.

მისი თქმით, ოპერაციის დაწყებიდან თურქეთმა გაანადგურა უპილოტო საფრენი აპარატი, 8 ვერტმფრენი, 103 ტანკი, 72 საარტილერიო დანადგარი, 3 ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა, განეიტრალებულია სირიის რეჟიმის 2.212 სამხედრო მოსამსახურე.

— თავდაცვის უფლებაზე დაყრდნობით, თურქეთი ძლიერ დარტყმებს განახორციელებს ჯარების განლაგებაზე, კერძოდ, სადამკვირვებლო პუნქტების რაიონში. ამაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს! თურქეთი ელის რუსეთისგან ყველა ბერკეტის ამოქმედებას ბაშარ ასადის რეჟიმზე ზემოქმედებისთვის, რათა შეწყვიტოს თავდასხმები და ასადმა გაიყვანოს ძალები სოჭის ხელშეკრულებაში აღნიშნული ზონების მიღმა, — განაცხადა თურქეთის თავდაცვის მინისტრმა.

## აშშ-მ და თალიბანმა მშვიდობიან შეთანხმებას ხელი მოაწერეს



აშშ-მ და მოძრაობა თალიბანმა მშვიდობიან შეთანხმებას ხელი მოაწერეს. სათანადო ცერემონია კატარის დედაქალაქ დოჰაში ჩატარდა.

შეთანხმების მიხედვით, 14 თვის განმავლობაში ავღანეთში დისლოცირებული ამერიკული არმია 8,5 ათასამდე უნდა შემცირდეს. ჯარის გაყვანა ნელ-ნელა, ეტაპობრივად მოხდება.

პარალელურად დაიწყება თალიბანის მოლაპარაკებები როგორც ქაბულის მთავრობასთან, ასევე ქვეყნის სხვა ლეგალურ პოლიტიკურ ძალებთან.

## რუსეთში ნემცოვის ხსოვნის მარშები გაიმართა




რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერ ბორის ნემცოვის მკვლელობიდან ხუთმა წელმა განვლო. ამასთან დაკავშირებით რუსეთის ქალაქებში ნემცოვის ხსოვნის მარშები გაიმართა.

ყველაზე ხალხმრავალი აქცია მოსკოვში გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო 20.000-მდე ადამიანმა.

დემონსტრანტებს მოჰქონდათ ნემცოვის სურათი და პლაკატი წარწერით: „მკვლელობის დამკვეთი თავისუფალია და თავს არხეინად გრძნობს!“

## უკრაინა 9 მაისის აღნიშვნას არ აპირებს

რუსეთისგან განსხვავებით, უკრაინა 9 მაისის აღნიშვნას არ აპირებს. ამის თაობაზე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრისტაიკომ განაცხადა.

— ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ. ევროპა კი ფაშიზმზე გამარჯვებას 8 მაისს აღნიშნავს, — თქვა პრისტაიკომ.

ამას გარდა, უკრაინელმა მინისტრმა კატეგორიულად უარყო ტერმინი დიდი სამამულო ომი. მან ხაზი გაუსვა, რომ არსებობდა მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც კაცობრიობას უდიდესი უბედურება მოუტანა.

— ჩვენც ამ ტრაგედიის მიზეზები უნდა გავაანალიზოთ! — განაცხადა პრისტაიკომ.

## თურქეთში რუსული საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკის“ ჟურნალისტები დააკავეს




თურქეთში რუსული საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკის“ თურქეთის ბიუროს 3 ჟურნალისტი და ბიუროს მთავარი რედაქტორი მახირა ბოზტეპე დააკავეს.

„სპუტნიკის“ მთავარ რედაქტორ მარგარიტა სიმონიანის ინფორმაციით, სააგენტოს თანამშრომლები შაბათს, გვიან ღამით დააკავეს. მათ ბრალად ედებათ სამშობლოს ღალატი მათი რუსულ მედიასაშუალებებთან თანამშრომლობის გამო.

თურქული მედიის ინფორმაციით, ჟურნალისტების დაკავების მიზეზი გახდა სააგენტოს საიტზე გამოქვეყნებული მასალა სათაურით: „მოპარული პროვინცია — რატომ გადასცა საფრანგეთმა თურქეთს ჰატაის ოლქი 80 წლის წინ“. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთის ხელისუფლებას მიმართა, ჩაერიოს და გაარკვიოს ჟურნალისტების დაკავების საკითხი და უზრუნველყოს რუსეთის მედიის თანამშრომელთა უსაფრთხოება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ სააგენტოს თანამშრომლებზე თავდასხმა და მათი დაკავება მათი უფლებების უხეში დარღვევაა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

## მამაკაცმა უცნობი არსების ძვალი იპოვა და სახლში მიიტანა

ინგლისის ესექსის საგრაფოს ქალაქ მერსეის მკვიდრმა სანაპიროზე უცნობი ცხოველის უზარმაზარი ძვალი იპოვა და სახლში წაიღო.

23 წლის მოლუსკების შემგროვებელმა დენიელ ფრენჩმა წყლის მიქცევის შემდეგ სანაპიროს ქვიშაში უცნობი არსების ძვალი შენიშნა. მან 142 სანტიმეტრი სიგრძის ძვალი მხარზე გაიდო და სახლში მიიტანა. მისი ორივე გოგონა აღფრთოვანებული დარჩა მამის მიერ ნაპოვნი ნივთით და სთხოვეს უფლება მიეცა მათთვის, რომ ძვალი სკოლაში მიეტანათ მოხსენების გასაკეთებლად.



რამდენიმე საათის შემდეგ ფრენჩმა იმავე ადგილზე მეორე ძვალიც იპოვა, მხოლოდ ის პირველზე პატარა ზომის იყო. არქეოლოგი ოლივერ ჰატჩინსონი ნაპოვნი ძვლების სანახავად მივიდა, რათა მათი წარმომავლობა დაედგინა. მისი ვარაუდით დიდი ძვალი შესაძლოა ვეშაპის ყოფილიყო და ის ვიქტორიანული დროის ვეშაპებზე მონადირე ხომალდიდან იყო, ხოლო უფრო პატარა ძვალი მამონტს ეკუთვნოდა. თუმცა თავად ფრენჩი ფიქრობს, რომ დიდი ძვალი ისტორიამდელ არსება დინოზავრს ეკუთვნის. ნაპოვნი ძვლები ბუნების ისტორიის მუზეუმში იქნა გადაგზავნილი მათი შემდგომი შესწავლისთვის.

## ვეფხვმა ლეოპარდი დაგლიჯა და მისი შიგნეული შეჭამა

ინდოეთში მეტყევეებმა ვეფხვის მიერ დაგლეჯილი და ნაწილობრივ შეჭმული ლეოპარდი აღმოაჩინეს.



რაჯაჯის ეროვნულ პარკში, რომელიც პაურიგარხვალის ოლქში მდებარეობს, ორი მტაცებელი ერთმანეთს ტერიტორიის გამო დაუპირისპირდა. ორთაბრძოლაში გამარჯვება ვეფხვს დარჩა, რომელმაც ლეოპარდი ჯერ დაგლიჯა, შემდეგ კი მისი შიგნეული შეჭამა.

ეროვნული პარკის თანამშრომლებმა ლეოპარდის გვამი აღმოაჩინეს, ხოლო მისი მეტოქის ვინაობა ნაკვალევით დაადგინეს. აღნიშნული ინფორმაცია მეტყევე ანილ პაინულიმ დაადასტურა.

— დიახ, ვეფხვმა მოკლა ლეოპარდი, — განაცხადა მან, — ჩვენ ლეოპარდს დავმარხავთ, ხოლო მისი დაღუპვის მიზეზს ოფიციალურ ანგარიშში ავსახავთ.

## ძაღლმა ოჯახი კობრისგან საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა



ტაილანდის პროვინცია პატხუმტხანიში პიტბული კობრასთან ორთაბრძოლის შედეგად დაიღუპა, რომელიც მისი პატრონების სახლში შეღწევას ცდილობდა.

ორი წლის პიტბული, სახელად ნონგ ხორმი, თავისი პატრონების სახლის წინ გაზონზე კობრასთან დაპირისპირებას ემსხვერპლა. ძაღლი მაკედ იყო და მალე დაახლოებით ათი ლეკვი უნდა დაეგდო.

გველმა ძაღლს რამდენჯერმე ყბების გარშემო უკბინა. ქვეწარმავლის შხამი საკმარისად ძლიერი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პიტბული ხუთ წუთში მოეკლა. ამის მიუხედავად, ძაღლმაც მოახერხა კობრისთვის სასიკვდილო დაზიანებების მიყენება. ძაღლის 51 წლის პატრონმა სურიონ ჩანტაკხეტმა განაცხადა, რომ ხმაური გაიგონა, მაგრამ, როდესაც სახლიდან გარეთ გამოვიდა, უკვე მეტისმეტად დაგვიანებული იყო და საყვარელი ცხოველის გადარჩენა ველარ მოხერხდა.

მკვდარი კობრა ოჯახის წევრებმა გადააგდეს, ხოლო ძაღლი სახლის უკანა ეზოში დაასაფლავეს.

— ნონგ ხორმი საუკეთესო ძაღლი იყო, რომელზეც ჩვენი ოჯახი ზრუნავდა. ის იმდენად ერთგული იყო, რომ ჩვენს გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლეც კი გაწირა, — განაცხადა ჩანტაკხეტმა.

## მეთევზემ რეკორდული ზომის თევზი დაიჭირა და გაუშვა



ამერიკის ოკლაჰომის შტატში ტბა კისტონში მეთევზემ რეკორდულად დიდი ზომის ნიჩაბცხვირა თევზი დაიჭირა.

ჯასტინ ჰემლინმა 71-კილოგრამიანი თევზი ტურისტული თევზაობის დროს ახლობელ იერემიე მეფორდთან ერთად დაიჭირა. მის ნადავლს შეეძლო, მსოფლიო რეკორდი — 4,5 კილოგრამით, ხოლო შტატის რეკორდი 11,3 კილოგრამით გაეუმჯობესებინა.

თუმცა, თევზაობის ადგილობრივი კანონების თანახმად, მეთევზე ვალდებულია, ორშაბათსა და პარასკევს დაჭერილი ნიჩაბცხვირა გაუშვას. ვინაიდან ჰემლინმა რეკორდული ზომის თევზი სწორედ პარასკევს დაიჭირა, ის იძულებული იყო, თევზი წყალში დაებრუნებინა.

ადგილობრივი ხელისუფლება მეთევზეს დღეში მხოლოდ ერთი ნიჩაბცხვირას დაჭერის უფლებას აძლევს, ხოლო მისი დაჭერის წლიური ლიმიტი ერთ მეთევზეზე ორ ნიჩაბცხვირას შეადგენს. ყოველი დაჭერილი თევზის ონლაინბაზაში დარეგისტრირება უნდა მოხდეს. მას შემდეგ, რაც მეთევზე ამ სახეობის თევზს დაიჭერს, მან იმ დღეს თევზაობა უნდა შეწყვიტოს.

მეფორდმა აღნიშნა, რომ ჰემლინი მომხდარს ძალიანაც არ გაუნაწყენებია.

— ისეთი ბედნიერი იყო, ასეთი დიდი თევზი რომ დაიჭირა. ამასთან, ჩვენ ფოტოსურათიც გადავიღეთ, ასე რომ, მტკიცებულება გაგვაჩნია, — აღნიშნა მან.

## ქორის მიერ გატაცებული ბრმა და ყრუ პუდელი პატრონთან დაბრუნდა



ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ უაიტჰოლის მცხოვრებს ქორის მიერ გატაცებული მისი ტოი-პუდელი 28 საათში დაუბრუნდა.

დებორა ფალსიონის თქმით, ქორმა მისი 16 წლის ბრმა და ყრუ ძაღლი, სახელად პორშია, მისი სახლის აივნიდან გაიტაცა. ქალი მეგობრებთან ერთად გვიან ღამემდე ეძებდა საყვარელ შინაურ ცხოველს, მაგრამ ვერც მას მიაგნო და ვერც მის გამტაცებელ ფრინველს. ქალი სახლში ხელცარიელი და საყვარელი ცხოველის დაკარგვის გამო ძალზე დამწუხრებული დაბრუნდა.

მეორე დღეს ფალსიონს ვეტერინარული საავადმყოფოდან დაურეკეს და უთხრეს, რომ მისი ძაღლი მათ დაწესებულებაში იმყოფებოდა. ქალი დარწმუნებული იყო, რომ მისი საყვარელი პუდელი დაიღუპა, ვინაიდან მის ასაკში ის 12-გრადუსიან ყინვას ვერ გადაიტანდა. ამის მიუხედავად, ის მაინც გაემგზავრა ვეტერინარულ საავადმყოფოში და იქ სწორედ პორშია დახვდა.

აღმოჩნდა, რომ ტოი-პუდელი ადგილობრივმა მკვიდრმა ფალსიონის სახლიდან ოთხი კვარტლის დაშორებით იპოვა. ძაღლი გაყინული იყო, თუმცა დაზიანებები არ ჰქონდა.

— ვერც კი წარმომიდგენია, როგორ გადარჩა, როგორ მოახერხა ქორის კლანჭებიდან თავის დაღწევა, — აღნიშნა ქალმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გია გრიგალავა: „ევროპის ჩემპიონატზე თუ გავედით, დიდი ზეიმი იქნება“

საქართველოს ნაკრებს მარტში მნიშვნელოვანი მატჩი ელოდება, უფრო სწორად, იმედი გვაქვს, მატჩები, რადგან ბელარუსთან გამარჯვების შემდეგ კიდევ ერთი თამაში გვექნება ჩასატარებელი.

დიდი შანსია, რომ ამ მატჩებში მონაწილეობა მიიღოს გია გრიგალავამ. ტულის არსენალის მცველს ვლადიმირ ვაისი, სავარაუდოდ, მარცხენა ფლანგზე დააყენებს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური მცველები ფორმაში იქნებიან. გრიგალავას ამ პოზიციაზეც შეუძლია გარჯა.

30 წლის ფეხბურთელი საქართველოში დაიბადა და რუსეთში გაიზარდა. თამაშობდა რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, შემდეგ კი საქართველოს ეროვნული გუნდი აირჩია. არსენალში გრიგალავა 2017 წლის იანვრიდანაა და ერთ-ერთი შეუცვლელია. ორჯერ მიაყენეს სახის სერიოზული ტრავმა, მაგრამ სწრაფად დაბრუნდა და დიდხანს ასპარეზობდა ნიღბით.

**გრიგალავას ინტერვიუ რუსულმა სპორტ-ექსპრესმა ჩამოართვა.**

***– საქართველოსთვის ევროპის ჩემპიონატი ძალიან ახლოსაა, საკვალიფიკაციოდან ორიოდე ნაბიჯი გაშორებთ. ქვეყანა უკვე მარტის მატჩების მოლოდინშია?***

– დიახ, როგორც კი ცნობილი გახდა პირველი მეტოქე და შეხვედრის გამართვის თარიღი, მთელი ქვეყანა ამ თამაშების მოლოდინშია, ისევე, როგორც ჩვენ, ფეხბურთელები. ყველას ესმის, რომ ეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩებია და ისტორიაში შესვლის კარგი შესაძლებლობა გვაქვს. იმედია, მიზანს მივაღწევთ.

***– არსენალის მწვრთნელები ხშირად გეხუმრებიან, თუ ვისი ხილვა უნდათ უფრო მეტად ევროპირველობაზე – საქართველოსი თუ ბელარუსის, ასევე ბულგარეთის, რომელიც სხვა გზით შეეცდება იმავეს. საბოლოოდ როგორ აზრამდე მივიდა სამწვრთნელო შტაბი?***

– მათ მტკიცე აზრი აქვთ: საქართველო უნდა გავიდეს. სხვებზე დღემდე მსჯელობენ.

***– ბელარუსთან მატჩი 26 მარტს გაქვთ, შემდეგ ჩემპიონატზე სპარტაკთან შეხვედრა გიწევთ. გასულ წელს სპარტაკი და ლოკომოტივი ორჯერ დაამარცხეთ, თან დიდი ანგარიშით. ასეთი მატჩების მერე თქვენი მეგობრები ჯიქია, ჯანო და კვირკველია დიდხანს არ ურთიერთობენ თქვენთან?***



– ისინი ნორმალურად რეაგირებენ. უკვე მიეჩვივნენ, რომ ვამარცხებთ. ვხუმრობ, რა თქმა უნდა. ერთმანეთს ვეხუმრებით, ნორმალურად, პოზიტიურად ვურთიერთობთ.

***– ზამთრის შემდეგ თითქმის ყველა ინტერვიუში გეკითხებიან, რომ შეკრებებზე წონამომატებული ჩადიხართ?***

– დიახ და ყოველთვის ასეა, მაგრამ ახლა უკვე თავს იდეალურად ვგრძნობ. თუმცა, შეკრებებზე ხანდახან დისკომფორტს ვგრძნობ.

***– მიმდინარე სეზონში არსენალის პირველი გოლი თქვენ გაიტანეთ მოსკოვის დინამოს კარში. ამბობენ, რომ შეკრებაზე მიაგენით ბუცებს, რომლებითაც რეგულარულად გაიტანთ.***

– ეს ბუცები თავის დროს ელოდებიან. სინამდვილეში სათამაშო ბუცებს მხოლოდ მატჩის დროს ვიცვამ. ვარჯიშებზე იგივე მოდელი მაცვია, მაგრამ – სხვა. ასე რომ, მაშინ ვიხუმრე. რომ ვიცოდე რომელი ბუცებით გავიტან რეგულარულად, სეიფში ჩავკეტავდი.

***– რატომ არ გამოუვიდა ჯანოს სპარტაკში თამაში?***

– ჯანომ თითქმის 10 წელი გაატარა სპარტაკში, მაგრამ შეიძლებოდა ყველაფერი გაცილებით უკეთ ყოფილიყო. ანანიძეს ყოველთვის ჯანმრთელობა ღალატობდა. თითქოს ფორმის პიკზე გავიდა და ნაკრებში კოჭ-წვივის ტრავმა მიიღო. შევიდა ფორმაში და უკვე ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა. ერთიც და მეორეც რთულია. ეს რომ არა, ვფიქრობ, სულ სხვა დონეზე ითამაშებდა.

***– ჯანო ახლა კვიპროსშია. ქეცბაია ანორთოსისიდან ისეთ ფეხბურთელად დააბრუნებს ნაკრებში, როგორიც გულშემატკივრებმა სპარტაკში შეიყვარეს?***

– ჯანოს საქმეები ნორმალურად მისდის. თამაშობს, ფორმაში დგება. უფრო მეტი სათამაშო პრაქტიკა აქვს. ამისათვის წავიდა კვიპროსში, რათა მარტში ნაკრების დასახმარებლად იყოს მზად. ჩემის აზრით, იქ დიდხანს არ გაჩერდება. თუ თავად არ მოისურვა დარჩენა.

***– თქვენ კვიპროსში პაფოსსა და ეთნიკოსში თამაშობდით. რას იტყვით მათ ჩემპიონატზე?***

– ნორმალური დონეა. სუსტი არ არის, ვინაიდან ზოგიერთი კლუბი არაერთხელ გავიდა ჩემპიონთა და ევროპის ლიგებზე. თუმცა, კონკურენტუნარიანი გუნდები ერთეულებია.

***– კვირკველია ლოკომოტივში საჩემპიონო და შემდგომ სეზონში შეუცვლელი იყო, მერე კინაღამ ლესტერში წავიდა. ბოლო ნახევარი წელი ხან მკურნალობდა და ხან სათადარიგოთა სკამზე მოწყენილი იჯდა. რა დაემართა?***

– კარგი სეზონების შემდეგ ყველაფერი სასურველად არ წაუვიდა. რაღაც უცნაური ტრავმა ჰქონდა, თავიდან ვერავინ დაუდგინა, რა იყო, შემდეგ ვერ მოურჩინეს. სანამ ტრავმა მოირჩინა და ფორმაში ჩადგა, ნახევარი წელი გავიდა. რამდენადაც ვიცი, შეკრებაზე თავს კარგად გრძნობს. ასე რომ, გაზაფხულზე უნდა ითამაშოს და ყველაფერი დავიწყებას მიეცემა.

***– მილანის გულშემატკივრობა კახა კალაძის გამო დაიწყეთ, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში წავიდა, იყო ენერგეტიკის მინისტრი, ახლა თბილისის მერია. კახა ისეთივე დაფასებული პოლიტიკოსია, როგორიც ფეხბურთელი იყო?***

– დიახ. ისიც უნდა ვთქვა, რომ მისდამი დაფასება და პოპულარობა ყოველ წელს იზრდება.

***– თქვენი მამა ყოფილი მორაგბე და ქალაქ მარტვილის მერია. მომავალში საკუთარ თავს ასეთ როლში არ ხედავთ?***

– დიახ, მისი თანამდებობა ასე იწოდება, მაგრამ საკუთარ თავს ასეთ როლში ვერ ვხედავ. ახლა არა, ფეხბურთი სჯობია. იგივეს ვიტყვი რაგბიზე. არასოდეს მითამაშია, თუმცა სამოყვარულო დონეზე ვერკვევი. მატჩებს ვესწრებოდი, წესები ვიცი, ვინტერესდები. მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ექვსი ერის თასს ვუყურებ, შეძლებისდაგვარად თვალს ვადევნებ.

***– თქვენს ნიღბებს რა ბედი ეწია?***

– სახლში მაქვს, კარადაში. შორს დავდე. იმედია, მეტად აღარ დამჭირდება. უმჯობესია, სუვენირებად შევინახო.

***– ამბობდით, რომ სხარტ თავდამსხმელებთან თამაში უფრო გიჭირდათ, ვიდრე დიდებთან, მაგრამ ბოლო 2 წელიწადში თქვენს კარგ ნაცნობ ძიუბას კონკურენციას ვერავინ უწევს.***

– პრინციპში, უკვე ისე მნიშვნელოვანი არ არის, მეტოქე დიდია თუ სხარტი, მთავარია, შენ რამდენად ხარ მზად. პლუს თამაში იმაზეა დამოკიდებული, მსაჯი ბრძოლის უფლებას როგორ მოგცემს. იგივე ძიუბასთან, ზოგიერთ მატჩში მიკარებაც არ შეიძლება, ახლოს ყოფნაც კი. აი, მაშინ სამმაგად რთულია.

# ეროვნული ჩემპიონატი უგოლოდ დაიწყო

**დინამო (თბ)-თელავი 0:0**

**თბილისი. დინამო არენა**



**დინამო:** კვასხვაძე, ლოჩოშვილი, ბენიო, კობოური, ქიმაძე (ბუღრიძე 46), იაშვილი, ქარდავა, პაპავა (კუხიანიძე 46), კუცია, ახვლედიანი (შულაია 70), ორშულა

**თელავი:** გოშაძე, ბერიაშვილი, ჩუკვურა, დიმიტროვსკი, ჩაბრაძე, ვარშანიძე, რუხაძე (მ.ბაშელეიშვილი 90), ნ.ბაშელეიშვილი (მარაქველიძე 90), მოსიაშვილი, კვასოვი, სამუშია (კოხრეიძე 69)

**გაძევება:** ქარდავა (90)

ეროვნული ლიგის ახალი სეზონის პირველი სათამაშო დღე გატანილი გოლების გარეშე დაიწყო. გასული სეზონის ჩემპიონებმა დებიუტანტი თელავი მიიღეს და კახა ჩხეტიანის გუნდმა პირველივე ტურში ქულები დაკარგა.

არადა, დებიუტანტი უკეთ გამოიყურებოდა და უფრო მწვავედაც უტევდა, დინამოს კი კარში პრაქტიკულად არ დაურტყამს.

ყველაზე რეალური მომენტი სტუმრებს პირველ ტაიმში ჰქონდათ, როდესაც იაროსლავ კვასოვის დარტყმული ძელმა მოიგერია. შეხვედრის დარჩენილ დროში მეტნაკლებად სახიფათო მომენტების შექმნა ორივე გუნდმა შეძლო, მაგრამ გოლის გატანამდე საქმე არ მისულა.

**დინამო (ბთ)-მერანი 0:0**

**ბათუმი. ანგისა**

**დინამო:** ალავიძე, გეგეჭკორი, კობახიძე, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ცინცაძე (მანჯგალაძე 70), ჯილაური, გონსალვესი (გაფრინდაშვილი 77), მამუჩაშვილი, ფლამარიონი, დვალიშვილი (საბანაძე 65)

**მერანი:** თევდორაძე, გაფრინდაშვილი, ფოფხაძე, თევზაძე, ვასაძე, კახელიშვილი, მახარობლიძე (ფიფია 75), გეწაძე (ნიქაბაძე 63), გაბისკირია (ჩიქოვანი 90), დათუნაიშვილი, დეისაძე

ვერ მოიგო ვერც მეორეადგილოსანმა ბათუმმა და ასევე დებიუტანტ თბილისის მერანთან. შეხვედრა აქაც გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

მასპინძლები თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას, მაგრამ სტუმრებმა კარის მშრალად შენახვა მოახერხეს. ანგარიშის გახსნასთან ძალიან ახლოს ბათუმელები თამაშის მიწურულს იყვნენ, როდესაც ნიკოლოზ საბანაძემ მეკარესთან პირისპირ გასვლა მოახერხა, მაგრამ თევდორაძემ კარგად შეაფასა სიტუაცია და საკუთარი კარი გადაარჩინა.

აღსანიშნავია, რომ გია გეგუჩაძის გუნდმა დაპირისპირების ბოლო წუთები 10 კაცის შემადგენლობით ჩაატარა. მთავარ მწვრთნელს სამივე ცვლილება განხორციელებული ჰქონდა მაშინ, როცა გუნდის ბრაზილიელმა შემტევმა ჯოვინო ფლამარიონმა სერიოზული ტრავმა მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა.

# შედეგები

## 29 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-კრ.პალასი ...................... 0:1
ბორნმუთი-ჩელსი ........................... 2:2
ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი .............. 3:1
ნიუკასლი-ბარნლი .......................... 0:0
უოტფორდი-ლივერპული .............. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 28 | 26 | 1 | 1 | 64-20 | 79 |
| 2.სიტი | 27 | 18 | 3 | 6 | 68-29 | 57 |
| 3.ლესტერი | 27 | 15 | 4 | 8 | 54-28 | 49 |
| 4.ჩელსი | 28 | 13 | 6 | 9 | 47-39 | 45 |
| 5.მანჩესტერი | 27 | 11 | 8 | 8 | 41-29 | 41 |
| 6.ტოტენჰემი | 27 | 11 | 7 | 9 | 44-36 | 40 |
| 7.შეფილდი | 27 | 10 | 10 | 7 | 29-25 | 40 |
| 8.ვულვზი | 26 | 9 | 11 | 6 | 38-32 | 38 |
| 9.ბარნლი | 28 | 11 | 5 | 12 | 33-39 | 38 |
| 10.არსენალი | 27 | 8 | 13 | 6 | 39-36 | 37 |
| 11.ევერტონი | 27 | 10 | 6 | 11 | 36-41 | 36 |
| 12.კრ.პალასი | 28 | 9 | 9 | 10 | 25-32 | 36 |
| 13.საუთჰემპტონი | 28 | 10 | 4 | 14 | 35-51 | 34 |
| 14.ნიუკასლი | 28 | 8 | 8 | 12 | 24-41 | 32 |
| 15.ბრაიტონი | 28 | 6 | 10 | 12 | 32-40 | 28 |
| 16.ბორნმუთი | 28 | 7 | 6 | 15 | 28-45 | 27 |
| 17.ვესტ ჰემი | 28 | 7 | 6 | 15 | 35-49 | 27 |
| 18.უოტფორდი | 28 | 6 | 9 | 13 | 27-43 | 27 |
| 19.ასტონ ვილა | 27 | 7 | 4 | 16 | 34-52 | 25 |
| 20.ნორვიჩი | 28 | 5 | 6 | 17 | 25-51 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჰალი-ლიდსი ................................. 0:4
ბლექბერნი-სუონსი ........................ 2:2
ვესტ ბრომვიჩი-უიგანი .................. 0:1
კარდიფი-ბრენტფორდი ................... 2:2
ქპრ-ბირმინგემი ............................. 2:2
ლუთონი-სტოკი ............................. 1:1
მილუოლი-ბრისტოლი ..................... 1:1
რედინგი-ბარნსლი ......................... 2:0
ფულემი-პრესტონი ......................... 2:0
ჰადერსფილდი-ჩარლტონი ............. 4:0
უენსდი-დერბი ............................... 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-გლადბახი ..................... 2:3
დორტმუნდი-ფრაიბურგი ................ 1:0
მაინცი-პადერბორნი ........................ 2:0
ჰოფენჰაიმი-ბაიერნი ....................... 0:6
კიოლნი-შალკე ................................ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 16 | 4 | 4 | 71-26 | 52 |
| 2.ლაიფციგი | 23 | 14 | 6 | 3 | 61-25 | 48 |
| 3.დორტმუნდი | 24 | 14 | 6 | 4 | 66-32 | 48 |
| 4.გლადბახი | 23 | 14 | 4 | 5 | 46-27 | 46 |
| 5.ლევერკუზენი | 23 | 13 | 4 | 6 | 40-29 | 43 |
| 6.შალკე | 24 | 9 | 9 | 6 | 32-35 | 36 |
| 7.ვოლფსბურგი | 23 | 9 | 7 | 7 | 32-28 | 34 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 24 | 10 | 4 | 10 | 34-42 | 34 |
| 9.ფრაიბურგი | 24 | 9 | 6 | 9 | 31-34 | 33 |
| 10.კიოლნი | 23 | 9 | 2 | 12 | 36-42 | 29 |
| 11.უნიონი | 23 | 9 | 2 | 12 | 29-36 | 29 |
| 12.აინტრახტი | 23 | 8 | 4 | 11 | 37-37 | 28 |
| 13.აუგსბურგი | 24 | 7 | 6 | 11 | 36-50 | 27 |
| 14.ჰერტა | 24 | 7 | 6 | 11 | 30-46 | 27 |
| 15.მაინცი | 24 | 8 | 1 | 15 | 33-52 | 25 |
| 16.ფორტუნა | 24 | 4 | 6 | 14 | 24-51 | 21 |
| 17.ვერდერი | 23 | 4 | 5 | 14 | 25-53 | 17 |
| 18.პადერბორნი | 24 | 4 | 4 | 16 | 29-52 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-შტუტგარტი ...................... 2:0
დარმშტადი-ჰაიდენჰაიმი ................ 2:0
აუე-ჰამბურგი .................................. 3:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-ლევანტე ............................. 3:0
ვალენსია-ბეტისი ............................ 2:1
ლეგანესი-ალავესი .......................... 1:1
გრანადა-სელტა .............................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 17 | 4 | 4 | 62-29 | 55 |
| 2.რეალი | 25 | 15 | 8 | 2 | 46-17 | 53 |
| 3.ატლეტიკო | 25 | 11 | 10 | 4 | 28-18 | 43 |
| 4.სოსიედადი | 25 | 13 | 4 | 8 | 43-31 | 43 |
| 5.სევილია | 25 | 12 | 7 | 6 | 34-25 | 43 |
| 6.ხეტაფე | 25 | 12 | 6 | 7 | 36-25 | 42 |
| 7.ვალენსია | 26 | 11 | 8 | 7 | 37-38 | 41 |
| 8.ვილიარეალი | 25 | 11 | 5 | 9 | 43-35 | 38 |
| 9.გრანადა | 26 | 11 | 4 | 11 | 32-31 | 37 |
| 10.ლევანტე | 26 | 10 | 2 | 14 | 31-39 | 32 |
| 11.ბილბაო | 25 | 7 | 10 | 8 | 24-22 | 31 |
| 12.ოსასუნა | 25 | 7 | 10 | 8 | 31-35 | 31 |
| 13.ალავესი | 26 | 8 | 7 | 11 | 28-36 | 31 |
| 14.ბეტისი | 26 | 7 | 9 | 10 | 36-42 | 30 |
| 15.ვალიადოლიდი | 26 | 6 | 11 | 9 | 22-29 | 29 |
| 16.ეიბარი | 25 | 7 | 6 | 12 | 25-37 | 27 |
| 17.სელტა | 26 | 5 | 10 | 11 | 22-34 | 25 |
| 18.მალიორკა | 25 | 6 | 4 | 15 | 26-42 | 22 |
| 19.ლეგანესი | 26 | 4 | 8 | 14 | 19-40 | 20 |
| 20.ესპანიოლი | 25 | 4 | 7 | 14 | 22-44 | 19 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

პონფერადინა-ხიხონი ...................... 1:0
უესკა-ესტრემადურა ...................... 2:2
კადისი-ალმერია ............................. 2:1
ალბასეტე-რაიო ............................. 1:1
რასინგი-სარაგოსა ......................... 2:2

**იტალია. სერია ა**

ლაციო-ბოლონია ............................ 2:0
ნაპოლი-ტორინო ............................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაციო | 26 | 19 | 5 | 2 | 60-23 | 62 |
| 2.იუვენტუსი | 25 | 19 | 3 | 3 | 48-24 | 60 |
| 3.ინტერი | 24 | 16 | 6 | 2 | 49-22 | 54 |
| 4.ატალანტა | 24 | 13 | 6 | 5 | 63-32 | 45 |
| 5.რომა | 25 | 12 | 6 | 7 | 47-32 | 42 |
| 6.ნაპოლი | 26 | 11 | 6 | 9 | 41-36 | 39 |
| 7.მილანი | 25 | 10 | 6 | 9 | 27-32 | 36 |
| 8.ვერონა | 24 | 9 | 8 | 7 | 28-24 | 35 |
| 9.პარმა | 24 | 10 | 5 | 9 | 32-30 | 35 |
| 10.ბოლონია | 26 | 9 | 7 | 10 | 38-42 | 34 |
| 11.კალიარი | 24 | 8 | 8 | 8 | 38-36 | 32 |
| 12.სასუოლო | 24 | 8 | 5 | 11 | 38-39 | 29 |
| 13.ფიორენტინა | 25 | 7 | 8 | 10 | 32-36 | 29 |
| 14.ტორინო | 25 | 8 | 3 | 14 | 28-45 | 27 |
| 15.უდინეზე | 25 | 7 | 6 | 12 | 21-37 | 27 |
| 16.ლეჩე | 25 | 6 | 7 | 12 | 32-49 | 25 |
| 17.სამპდორია | 24 | 6 | 5 | 13 | 25-43 | 23 |
| 18.ჯენოა | 26 | 5 | 7 | 14 | 30-48 | 22 |
| 19.ბრეშა | 24 | 4 | 4 | 16 | 21-44 | 16 |
| 20.სპალი | 25 | 4 | 3 | 18 | 19-44 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-სპეცია ........................... 3:1
ვენეცია-კოზენცა ............................. 1:1
პიზა-პერიჯა .................................... 1:0
ჩიტადელა-კრემონეზე ..................... 0:0
ემპოლი-პორდენონე ....................... 0:1
იუვე სტაბია-ტრაპანი ..................... 2:2
კიევო-ლივორნო ............................. 0:1
ფროზინონე-სალერნიტანა .............. 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-დიჟონი .................................... 4:0
ამიენი-მეცი .................................... 0:1
ბრესტი-ანჟე .................................... 0:1
მონაკო-რეიმსი ............................... 1:1
მონპელიე-სტრასბური .................... 3:0
ტულუზა-რენი ................................. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 23 | 2 | 3 | 75-24 | 70 |
| 2.მარსელი | 27 | 16 | 7 | 4 | 39-27 | 55 |
| 3.რენი | 27 | 14 | 5 | 8 | 33-24 | 47 |
| 4.ლილი | 26 | 13 | 4 | 9 | 33-27 | 43 |
| 5.მონპელიე | 27 | 11 | 7 | 9 | 35-29 | 40 |
| 6.მონაკო | 27 | 11 | 7 | 9 | 43-42 | 40 |
| 7.რეიმსი | 27 | 9 | 11 | 7 | 25-21 | 38 |
| 8.სტრასბური | 27 | 11 | 5 | 11 | 32-32 | 38 |
| 9.ლიონი | 26 | 10 | 7 | 9 | 40-26 | 37 |
| 10.ნიცა | 26 | 10 | 7 | 9 | 38-36 | 37 |
| 11.ნანტი | 26 | 11 | 4 | 11 | 28-28 | 37 |
| 12.ბრესტი | 27 | 8 | 10 | 9 | 34-36 | 36 |
| 13.ანჟე | 27 | 10 | 6 | 11 | 26-33 | 36 |
| 14.ბორდო | 26 | 9 | 8 | 9 | 38-32 | 35 |
| 15.მეცი | 27 | 7 | 10 | 10 | 25-34 | 31 |
| 16.სტ.ეტიენი | 26 | 8 | 5 | 13 | 28-42 | 29 |
| 17.ნიმი | 27 | 7 | 6 | 14 | 28-42 | 27 |
| 18.დიჟონი | 27 | 6 | 9 | 12 | 24-36 | 26 |
| 19.ამიენი | 27 | 4 | 10 | 13 | 29-48 | 22 |
| 20.ტულუზა | 27 | 3 | 4 | 20 | 21-56 | 13 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლორიანი-შამბლი ........................... 1:2

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

დენ ჰააგი-ერაკლესი ....................... 0:0
ვენლო-ფორტუნა ........................... 0:0
ზვოლე-ვიტესი ................................ 4:3
ტვენტე-ჰერენვენი ......................... 2:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ბელენენსეში ..................... 0:0
ბოავიშტა-ჟილ ვისენტე .................. 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ცსკა-ურალი .................................... 1:1
დინამო-სპარტაკი ........................... 0:2
ახმატი-როსტოვი ............................ 1:1
ზენიტი-ლოკომოტივი ...................... 0:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბევერენი-ანდერლეხტი ................... 0:3
ვარეგემი-კორტრაიკი ..................... 2:2
ეუპენი-მუსკრონი ........................... 2:1
ანტვერპენი-ოსტენდე ..................... 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ქაშიმფაშა ............................ 0:0
ტრაბზონი-რიზე ............................. 5:2
ანთალია-ფენერბახჩე ...................... 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ოპავა-სიგმა .................................... 2:1
პრჟიბრჟამი-ბოლესლავი ................. 0:0
ოაბლონეცი-პლზენი ....................... 1:2
სპარტა-ზლინი ............................... 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-პლოცკი ............................... 2:2
გურნიკი-პოგონი ............................. 3:1
ლეგია-კრაკოვია ............................. 2:1

**ლეგიას მე-2 გოლი**
**ვაკო გვილიამ გაიტანა**

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დესნა-მარიუპოლი ......................... 4:0
ლვოვი-ოლექსანდრია .................... 1:1
კოლოსი-კარპატი ........................... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-ნორდსიელანდი .............. 1:2

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# კაილი ჯენერმა თავისი ორი წლის გოგონა ძვირფას სამოსში გამოაწყო



მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერმა კაილი ჯენერმა ძვირფას სამოსში გამოწყობილი თავისი ორი წლის გოგონას სტორმი ვებსტერის ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ფოტოზე აღბეჭდილი ბავშვი სახლის წინ, კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი პოზირებს, ტანზე კი აცვია შავი სპორტული კოსტიუმი, დამშვენებული წითელი წარწერით Chrome Hearts. ბრენდის ოფიციალურ გვერდზე ამ კომპლექტის ფასი 245 დოლარს შეადგენს. სტორმის ხელში უჭირავს 595 დოლარად ღირებული Alexander Wang-ის მარკის ხელჩანთა.

ბავშვს ფეხზე აცვია ბოტასები Nike Air Jordan 1 Retro High OG, რომელიც ონლაინ-მაღაზია ამაზონში 1165 ფუნტ სტერლინგად იყიდება. ამ ყველაფერს კი ოქროს საყურეები ემატება.

კაილი ჯენერის მიერ გამოქვეყნებულმა ამ ფოტოსურათმა ამ დროისთვის უკვე ცხრა მილიონი მოწონება და 44 ათასამდე კომენტარი მიიღო.

# ზღვიდან ამოვარდნილი ტახი მეთევზეს თავს დაესხა



იაპონიის ქალაქ ნაგასაკიში ზღვიდან გამოსული ტახი მეთევზეს თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

დაახლოებით ერთი მეტრი სიგრძის გარეული ცხოველი თავს 50 წლის მამაკაცს დაესხა, რომელიც სანაპიროზე ანკესით თევზაობდა. მეთევზე არ დაიბნა, ცხოველი ძირს დააგდო და ზღვიდან დააწვა. მათი ორთაბრძოლა გამვლელმა შენიშნა და პოლიციაში დარეკა.

როდესაც შემთხვევის ადგილზე ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ, ტახი უკვე მკვდარი იყო.

– მე მას ვაჯობე, – განაცხადა მამაკაცმა, რომელიც ადგილზე პოლიციელების მისვლას ელოდებოდა. როგორც გაირკვა, მეთევზემ ტახის დახრჩობა მოახერხა, თუმცა ცხოველმა მისთვის ფეხებზე კბენა მოასწრო. მიყენებული დაზიანებები მამაკაცის სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7905

ევრო — 3.0782

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5975

100 რუსული რუბლი — 4.1597

## ამინდის პროგნოზი 2 მარტისთვის








## 3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

**ტრფობა წამებული**

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

**ტომი I**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## გოგონა გაცნობის გვერდზე მეტისმეტი მომხიბვლელობის გამო დაბლოკეს



ინტერნეტგაცნობის გვერდ ტინდერის მომხმარებელი გოგონა გადამეტებული მომხიბვლელი გარეგნობის გამო დაბლოკეს.

21 წლის ბრიტანელმა ლორა მუნდიმ სერვისით სარგებლობა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მისმა რამდენიმე მეგობარმა მისი დახმარებით ღირსეული პარტნიორი გამოძებნა. გოგონამ გამოაქვეყნა რამდენიმე საკუთარი ფოტოსურათი, რომლებზეც ის სხვადასხვა რაკურსითაა გადაღებული. მისი თქმით, სხვა მომხმარებლებმა მაშინვე აავსეს სხვადასხვა შეტყობინებით, მაგალითად, ასეთით: „შენ მეტისმეტად კარგად გამოიყურები იმისთვის, რომ სინამდვილეში არსებობდე“, „შენი გვერდი ნამდვილი არ არის, შენ, უბრალოდ, რომელიღაც მოდელის ფოტოსურათები მოიპარე“.

მალე ტინდერმა მუნდი დაბლოკა იმ მიზეზით, რომ ის თითქოსდა თავისი ქმედებით კომპანიის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. გოგონა შეეცადა, ისევ დარეგისტრირებულიყო, მაგრამ იგივე შეტყობინება მიიღო.

ტინდერის წარმომადგენლებს ჯერჯერობით საკუთარ გადაწყვეტილებაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

## ბელა ჰადიდი პოდიუმზე დედასთან ერთად გამოვიდა



პალესტინური წარმომავლობის ამერიკელი სუპერმოდელის ბელა ჰადიდის დედამ იტალიური ბრენდის Off-White-ს 2020 წლის შემოდგომის კოლექციის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოები მოდის შოუდან ინსტაგრამში ჟურნალ Just Jared-ის გვერდზე გამოქვეყნდა.

56 წლის იოლანდა ჰადიდი პოდიუმზე შავი გრაფიტებიანი თეთრი პიჯაკით, ტონ-ბიუსტჰალტერითა და მუქი ლურჯი შარვლით გამოვიდა. მის გარეგნობას ავსებდა შავი სათვალე, მასიური მძივი და სხვადასხვა ლითონისგან შექმნილი საყურეები.

თავის მხრივ, ბელა ჰადიდმა შოუზე წარმოადგინა შავი კაბა პლისირებული გრძელი ქვედა ბოლოთი, რომელსაც ამშვენებდა მრავალფენოვანი პეპლუმი, შეერთებული ნახევრად შეჭრილი წამოსასხამი ლაბადით.

გარდა ამისა, ჩვენებაში მონაწილეობდა იოლანდა ჰადიდის უფროსი ქალიშვილი ჯიჯიც, რომელიც იქ მყოფთა წინაშე თეთრი პლისირებული გრძელი კაბა-ვოლანით წარდგა, რომელსაც ზევიდან კაპიუშონიანი ლურჯი წამოსასხამი ლაბადა ჰქონდა დაკერებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 2 მარტისთვის



**ვერძი** — სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე გადადეთ. **კურო** — ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ტყუპები** — აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **კირჩხიბი** — სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **ლომი** — დღის პირველ ნახევარში საოჯახო საქმეების მოგვარება გადაგღლით. გამოფხიზლდით და სასურველს რეალობად ნუ მიიღებთ. **ქალწული** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **სასწორი** — პარტნიორებთან თანამშრომლობა ძალზე პროდუქტიული იქნება. მარტოხელებს სასიამოვნო შეხვედრები გელით. **მორიელი** — თქვენი პირადი მომხიბვლელობა იზრდება. ნებისმიერ პრობლემას იოლად და ძალდაუტანებლად მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** — კარგად გამოიყურებით, რაც წარმატებაში ხელს შეგიწყობთ. იყავით პოზიტიური. **თხის რქა** — ნებისმიერი წამოწყება საეჭვოა. არ არის გამორიცხული, დაუფიქრებელ ნაბიჯს სავალალო შედეგი მოჰყვეს. **მერწყული** — ახალი ჩანაფიქრის განხორციელება იოლი არ იქნება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის რისკთან არის დაკავშირებული. **თევზები** — მატერიალური მდგომარეობა არასტაბილურია, თუმცა — გამოსწორებადი. თუ არ იზარმაცებთ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

მამაკაცი მღვდელს ეუბნება:

— მამაო, ნაკურთხი წყალი მოასხურე ჩვენს სახლს, რომ ყველა ცოდვისგან განიწმინდოს.

— და მერე, თავად სად იცხოვრებთ?

●●●

მეტროს ვაგონში, მოხუცი ქალის მოპირდაპირე მხარეს, ახალგაზრდა ზის და გაუთავებლად საღეჭ რეზინს აღლაჭუნებს. ბებომ უყურა, უყურა და ბოლოს ეუბნება:

— შვილო, ამდენს სულ ტყუილად მელაპარაკები, ყურში არ მესმის...

●●●

პატრული ჯიპს აჩერებს და მძღოლ გოგონას ეკითხება:

— მანქანაზე წინ და უკან სხვადასხვა ნომრები რატომ გაქვთ?

— წინ ჩემი მობილურის ნომერია, ხოლო უკან — სახლის!

●●●

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

— შეგიძლია, ჰარმონიული თანაცხოვრების მაგალითი მომიყვანო?

— დიახ, მასწავლებელო, ბებიაჩემი და პაპაჩემი ცხოვრობენ სრულ ჰარმონიაში.

— და ეგ რაში გამოიხატება?

— პაპაჩემი ხვრინავს, ბებიაჩემი კი ყრუა.

●●●

ექიმი მოხუც პაციენტს ეკითხება:

— ახველებთ?

— დიახ!

— მშრალი ხველა გაქვთ?

— ეჰ, შვილო, ხველა კი მშრალი მაქვს... მაგრამ ტრუსიკი მაქვს სველი!

●●●

მამა შვილს სთავაზობს:

— მოდი, ჭადრაკი ვითამაშოთ გონებაში.

— კარგი, მამიკო. მე ვიწყებ. პაიკი ე2–ე4.

— მხედარი ჰ6-ზე.

— მხედარი დ6– ე3-ზე.

მამამ შვილს წაუთაქა და ეუბნება:

— რას იტყუები, მხედარი მასე არ დადის.

— მორჩა, მადლობა, მამა, წყობა აირია. ახლა მარტომ ითამაშე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი კელაპტრიშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა



მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის გამარჯვებულმა გიორგი კელაპტრიშვილმა თავის ერთგულ მაყურებელს ახალი სიმღერა შესთავაზა.

„გული დაგიხატე“ — ასეთია სიმღერის სახელწოდება, რომელიც კომპოზიტორმა ლილიკო ნემსაძემ დაწერა. სიმღერისთვის ტექსტი ირინა სანიკიძემ შექმნა, არანჟირებაზე კი ალეკო ბერძენიშვილმა იმუშავა.

გიორგი კელაპტრიშვილმა თავისი ახალი ნამუშევარი ინტერნეტში გაავრცელა და ათასობით გულშემატკივრისგან ბევრი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

## დათა თავაძემ დოიჩე ოპერაში სპექტაკლი დადგა



ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი დათა თავაძე გერმანიაში თეატრალურ საზოგადოებაში უკვე კარგად არის ცნობილი.

მის მიერ დადგმული სპექტაკლები გერმანელმა მაყურებელმა დადებითად შეაფასა.

ამჯერად დათა თავაძემ ბერლინის თეატრში ფერდინანდ შმალცის „ყველა [კვდება]“ განახორციელა. შემოქმედებით ჯგუფში დათასთან ერთად კიდევ ერთმა ქართველმა, ნიკა ფასურმა იმუშავა, რომელმაც სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა.

საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობენ პაულ გრილი, ლორენა ჰანდშინი, იორგ პოზე, ნატალი ზილიგი და ნიკლას ვეტცელი.

**დათა თავაძე:**

— მაინც მიჭირს ამ ამბის ბოლომდე დაჯერება... ფერდინანდ შმალცის „ყველა [კვდება]“. პრემიერა ბერლინის თეატრში...

„აყვავებული ბაღი, ბურჟუაზიული კეთილდღეობის სიმბოლო, ზღვარგადასული ლხინის ადგილი და, ამავდროულად, ჰერმეტულად შემოღობილი ციხე-სიმაგრე, რომელიც სიღარიბისგან თავის დასაცავად გაუშენებიათ. სიკვდილი აქ არავის დაუპატიჟებია, მაგრამ იგი მაინც მოვა. მართლა ასე დაგვიანდა ყველაფერი?“

## ილიაუნის თეატრმა სპექტაკლები მოხსნა




ილიაუნის თეატრმა მარტში დაგეგმილი სპექტაკლები მოხსნა და მუშაობა შეწყვიტა. ამის მიზეზად თეატრის ხელმძღვანელობამ კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საბჭოს გადაწყვეტილება დაასახელა:

— კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ღონისძიებების გაუქმების შესახებ, უსაფრთხოების მიზნით, ილიაუნის თეატრი წყვეტს მუშაობას დღევანდელი დღიდან 16 მარტამდე!

მაყურებელი შეძლებს უკვე შეძენილი ბილეთის უკან დაბრუნებას ან გადაცვლას სამომავლო სპექტაკლებზე...

გისურვებთ ჯანმრთელობას! — ნათქვამია ილიაუნის თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

## ხელოვნების სასახლე დაიხურა



საქართველოს თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიისა და მუსიკის მუზეუმი — ხელოვნების სასახლე დაიხურა.

**განცხადება მუზეუმის ხელმძღვანელმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:**

— ლუვრი დაიხურა! დავიხურეთ ჩვენც!

ხელოვნების სასახლის საგამოფენო დარბაზები დაიხურება ორშაბათსაც, დანარჩენს გვაჩვენებს დრო!

## მხატვარი ანგელინა დამენია ნიუ იორკში ათწლეულის მხატვრად აირჩიეს



ქართველი მხატვარი ანგელინა დამენია ნიუ იორკში ათწლეულის მხატვრად აირჩიეს.

ჟურნალ არტთურ ინტერნეშენალმა გამოუშვა ათწლეულის მხატვრების საიუბილეო გამოცემა, სადაც დაიბეჭდა ანგელინა დამენიას ნამუშევრები „ნიჟარა“ და „ილუზორული ცხენი — ღრუბლებში არეკლილი მთვარის ნათება“.

ნიუ იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში გაიმართა ათწლეულის მხატვრების დაჯილდოების ცერემონია. ანგელინა დამენიამ ამ ღონისძიებაზე დასწრება ვერ შეძლო. იგი დაჯილდოებაზე ნიუ იორკში მცხოვრებმა ქართველმა ჟურნალისტმა ია მერკვილაძემ წარადგინა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ხურდა ფული გერმანიაში; 5. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფე; 7. კარგი საჭმელების მცოდნე და მოყვარული; 9. შემოკლებულად დაწერილი სიტყვა ძველ ხელნაწერებში; 10. ფრანგული ვაზის ჯიში; 13. მსხვერპლად შეწირული; 14. იუპიტერის თანამგზავრი; 15. მდინარე საფრანგეთში; 19. მძარცველი, ყაჩაღი; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 21. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1731-1810); 22. ქართული რადიო.

**შვეულად:** 1. რამე საქმიანობისათვის მოწყობილი ადგილი; 2. იაპონური ავტომარკა; 3. ტრიკოტაჟის უსაყელო, მჭიდრო ფუფაიკა; 4. მაგიდა საღმრთო წიგნებისთვის ეკლესიაში; 6. აზრის გამოთქმის მგზნებარე ტონი; 8. ბავშვის მოსანათლი ჭურჭელი; 11. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 12. დარტყმა ჩოგბურთში, რომლითაც სპორტსმენს ბურთი შეჰყავს თამაშში; 16. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 17. ჩოგბურთის მოედანი; 18. განათების საზომი ერთეული.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

